

# ხობის მოამბე

№11-12 (7080-81)
27 ივნისი, ოთხშაბათი,
2012 წელი.
ფასი 1 ლარი.

### ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის მეუფე გრიგოლის

## ქადაგება

### წარმოთქმული ქ. ხობის წმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარში სულთმოფენობის დღესასწაულზე

*3 ივნისი, 2012 წელი*



**პატიოსანნო მამანო, ქრისტესმიერ საყვარელნო სულიერნო შვილნო!**

გილოცავთ სულთმოფენობის დღესასწაულს. დღეს ეკლესიის დაბადების დღეა. ყოველი ადამიანისათვის განსაკუთრებულია მისი დაბადების დღე და ყოველი ასეთი დღე ბევრ რამეზე აფიქრებს მას. აფიქრებს იმაზე, თუ რა გზა გამოიარა ამ დღემდე და რა უნდა გააკეთოს მომავალში. სწორედ ასეთია დღევანდელი დღეც–ეკლესიის დაბადების დღე და ბუნებრივია, რომ ჩვენ განსაკუთრებით ვფიქრობთ იმ საოცრების შესახებ, რაც ამ დღეს აღსრულდა. ვფიქრობთ ამ მოვლენის მნიშვნელობის შესახებ ეკლესიისთვის, თითოეული ჩვენთაგანისთვის. ეს დღე გვაფიქრებს ჩვენს ხვალინდელ დღესა და შემდგომ ცხოვრებაზე.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ეკლესია არ არის მხოლოდ ქვაში ნაგები ტაძრები. არამედ თვით ეს ტაძრები არის ადგილი, სადაც ეკლესია იკრიბება; ეკლესია არის კრებული ადამიანებისა, რომლებიც ქრისტეს ირგვლივ (უფრო სწორად კი–ქრისტეში) ერთიანდებიან, და ამ ერთობის თავი არის თვით უფალი იესო ქრისტე. ამ ადამიანებს აერთიანებს ერთი რწმენა–რწმენა მამისა და ძისა და

>>>>>>>>>>> 2-3

## პარლამენტარები შეხვდნენ მუნიციპალიტეტის ქალაქის, თემების და სოფლების მოსახლეობას

საქართველოში სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარე სოციალურ–პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს, ხობის მუნიციპალიტეტიც აქტიურად უერთდება. მისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლები აქტიურად მუშაობენ მუნიციპალიტეტის კულტურული და ეკონომიკური განვითარებისათვის, ეკოლოგიური და დემოგრაფიული პროგრამების გადაჭრისათვის, ახალგაზრდების სულიერ მოთხოვნილებათა კარგად გააზრებული პროგრამების განხორციელებისათვის.

თუმცა, მიუხედავად ჩადებული ძალისხმევისა ბევრი საკითხი საჭიროებს ადგილზე გაცნობას, ანალიზს, შესწავლას. ამ მიზნით 27 მაისს საქართველოს პარლამენტის წევრები–იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი **პავლე კუბლაშვილი**, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი **ლაშა თორდია**, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე ბატონი **შოთა მალაშხია** და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ქალბატონი **ეკა ხერხეულიძე**, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, მუნიციპალიტეტის გამგებელთან და საჯარო სამსახურების თანამდებობის პირებთან ერთად ქალაქ ხობისა და ხობის მუნიციპალიტეტის თემებისა და სოფლების მოსახლეობას ადგილზე

>>>>>>>>>>> 4



პარლამენტარი პავლე კუბლაშვილი ხობში

## „მეიმედება ახალგაზრდობისა, რომელიც ღირსეულად გააგრძელებს ქვეყნის მშენებლობის პროცესს“



სასწავლო წლის დასასრული, მაისი-ივნისი ყველგან განსაკუთრებული მღელვარებით გამოირჩევა. ასეა ჩვენს მუნიციპალიტეტშიც. საზოგადოების ყურადღების ცენტრში ახალგაზრდობა, სკოლის კურსდამთავრებულები და მათი სამომავლო გზებია. წარმატებით დასრულდა 2011-2012 სასწავლო წელი. საშუალო განათლების ატესტატზე 264 მოსწავლე გავიდა, მათ შორის 5 ოქროსა და 6 ვერცხლის მედალოსანია.

მქონდა პატივი, შევხვედროდი მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეებს. ბევრი საინტერესო აზრი, იდეა მოვისმინე მათგან. რაც თვალშისაცემი იყო, ესაა: ჩვენი ახალგაზრდობის ჯანსაღი დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ, სწორი ორიენტაცია, საკუთარი ღირსების განცდა, დამოუკიდებლობის უნარი, რის გარეშეც ვერ იქნება ადამიანი სრულყოფილი.

საზოგადოების ორიენტირი მუდამ მომავალი თაობა, ახალგაზრდობა იყო, როგორც ქვეყნის ხვალიდნელი დღის ბატონ-პატრონი. ჩვენი ერის, სამშობლოს მომავალი ხომ ჩვენი ახალგაზრდობის კომპეტენტურობის, სწავლა-განათლების, პატრიოტიზმის, სამშობლოს წინაშე ვალდებულებების განცდაზეა დამოკიდებული. უფროსი და უმცროსი თაობის თანამშრომლობა იქნება მყარი გარანტი მომავალი კეთილდღეობისა. ხაზგასმით შემიძლია ვთქვა, რომ მეიმედება ახალგაზრდობისა, რომელიც ღირსეულად გააგრძელებს ქვეყნის მშენებლობის პროცესს.

სკოლის დამთავრება მსურს განსაკუთრებით მივულოცო წლევანდელ კურსდამთავრებულებს და ვუსურვო სწავლის წყურვილი და ბრძოლა ეროვნული ღირსებისა და დემოკრატიული ღირებულებების შენარჩუნებისთვის, რათა მათ ჰქონდეთ უფლებაც და შესაძლებლობაც იყვნენ ძლიერი საქართველოს აღმშენებლობის თანამონაწილენი.

ასევე, ვულოცავ სასწავლო წლის დამთავრებას ყველა პედაგოგს. მასწავლებლობა მძიმე ტვირთია, მაგრამ საპატიო, ღმერთთან წილნაყარი საქმეა. შედეგი, რითაც შეგვიძლია ვიამაყოთ, სწორედ თქვენი დამსახურებაა პატივცემულო მასწავლებლებო. ამისთვის მადლობა თქვენ!

**გოგა ღურწკაია, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი.**

## საზოგადოებამ ანგარიში გულთბილად მიიღო

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჭოხონელიძე საზოგადოების წინაშე საკრებულოს მიერ 2011 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ვრცელი ანგარიშით წარდგა.

ანგარიშის მოსმენა ქალაქ ხობის კულტურის სასახლის დიდ დარბაზში გაიმართა და მას არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლებთან ერთად, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი, მისი ყოვლადუსამღვდელოესობა მეუფე გრიგოლი ესწრებოდა.

ანგარიშის მოსასმენად მოსულ მოქალაქეებს წინასწარ დაურიგდათ სოციოლოგიური კვლევის ანკეტა. ანგარიშის მოსმენის შემდეგ მათ პასუხი უნდა გაეცათ ანკეტაში დასმულ შეკითხვებზე. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის გამოკითხვით საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და შედეგების გათვალისწინება თავის საქმიანობაში საკრებულოსთვის პრიორიტეტულია და ის მას პერიოდულად ახორციელებს.

ანგარიშის მოსმენამდე ნაჩვენები იქნა ფოტო-ვიდეო კოლაჟი –„ხობის მუნიციპალიტეტი 2003 წლამდე და 2003 წლის შემდეგ“, რომელმაც თვალნათელი გახადა ის კონტრასტი, რაც ხობის მუნიციპალიტეტის რევოლუციამდელ და პოსტრევოლუციურ პერიოდს შორის არსებობს. თავის ანგარიშში საკრებულოს თავმჯდომარემ საზოგადოებას დეტალურად გააცნო ხობის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სფეროში განხორციელებული პროექტები და ისაუბრა სამომავლო გეგმებზე. მისი ინიციატივითა და საკრებულოს მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ხობში აგვისტოს ბოლოს წელს პირველად აღინიშნება ქალაქის დღე -„ხობქალაქობა“. ქალაქში იგეგმება „ხობის პიაცას“ მშენებლობა.



მოქალაქეთა დასაქმების პრობლემის ნაწილობრივ გადაწყვეტის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია პროექტი „ანაკლია-პორტი“, რომლის განხორციელებაც უახლოეს პერიოდში დაიწყება. „ესენი რეალური პროექტებია და არა ოცნება“,–განაცხადა მ. ჭოხონელიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, ხობის ღვაწლმოსილი ადამიანებისა და მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ მცხოვრები სხვადასხვა სფეროში წარმატებული ჩვენი თანამემამულეების ერთობლიობით, საკრებულოსთან შეიქმნება საზოგადოებრივი დარბაზი, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას და მრავალი დარგობრივი პროგრამის განხორციელებას.

მ. ჭოხონელიძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სოციალურ საკითხებზე, კულტურის, განათლების, სპორტის სფეროებში მიღწეულ წარმატებებზე და აღნიშნა: „ეს არა მარტო მათი, კონკრეტული ადამიანების, არამედ ზოგადად, ხობის მუნიციპალიტეტის წარმატებაა“.

„როგორც ფოტო-ვიდეო კოლაჟიდან ვნახეთ, „ვარდების რევოლუციიდან“ განვლილი 8 წელი ხობის მუნიციპალიტეტის აღმშენებლობის წლები იყო. ეს გვაძლევს საფუძველს იმედისა, რომ შემდგომი წლები იქნება მეტი აღმშენებლობის, მეტი განვითარების, ბევრად უკეთესი ჩვენი ხვალინდელი დღის შექმნის წლები. ჩვენ არ ვოცნებობთ, ჩვენ გვაქვს იმედები, რადგანაც გვაქვს საფუძვლები.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2011 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა „კულტურის ცენტრისა“ და „განათლების ცენტრის“ სამუსიკო სკოლის მიერ ორგანიზებული მცირე კონცერტით დასრულდა.

**P.S. ანგარიშის დასასრულს საკრებულოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას და სრულიად საქართველოს მიულოცა ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღე და უსურვა მშვიდობა, კეთილდღეობა და ერთიანობა.**

**საზოგადოებამ გულისყურით მოისმინა და გულთბილად მიიღო წარმოდგენილი ანგარიში, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ საკრებულოს თავმჯდომარეს ტაშით რამდენჯერმე შეაწყვეტინა გამოსვლა.**

ანგარიშის შემცირებული ტექსტი იხილეთ მე-3 გვერდიდან

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჭოხონელიძე. სხდომას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების, სურსათის უვნებლობის სამსახურის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი პრესისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო 9 საკითხი:

1. დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 27 დეკემბრის №56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე–საკრებულოს თავმჯდომარე; თანამომხსენებელი დ. ჭოჭუა–გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. დადგენილების პროექტი „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოწმობის ფორმის, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ფორმების ჩამოწერის აქტის ფორმისა და სანებართვო მოწ-

>>>>>>>>>>> 4

# ქადაგება

1 <<<<<<<<<<

სულისა წმიდისა, რწმენა წმიდა სახარებისა, რწმენა წმიდა ბიბლიისეული სწავლებისა. აერთიანებთ რწმენა იმ სწავლებისადმი, რომლის თანახმად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა.

***ძმანო და დანო***, მოგეხსენებათ, ღმერთმა შექმნა ადამიანი და მას განუმზადა განსაკუთრებული სამყოფელი, რომელსაც ჩვენ სამოთხედ მოვიხსენიებთ; მაგრამ ადამიანმა თავის თავში ვერ დაიტია ამხელა სიკეთე და ჩაიდინა ცოდვა. ამისთვის იგი განდევნილ იქნა სამოთხიდან და მთელი შემდგომი ცხოვრება ადამიანისა და მისი მოდგმისა არის მოლოდინი, თუ როდის დაბრუნდება იმ ქვეყანაში, საიდანაც განდევნილიქნა. ვფიქრობ, ეს ადვილი გასაგები უნდა იყოს განსაკუთრებით იმ ადამიანებისათვის, ვინც თავად განიცადა სამშობლოს, მშობლიური მიწა-წყლის, თავისი ძირძველი საცხოვრებელი ადგილის დაკარგვა; მათ ხომ დღისით თუ ღამით თვალწინ უდგათ თავიანთი ეზო-კარი და ოცნებობენ როდის დაბრუნდებიან იქ. სწორედ ასეთი ცოცხალი მეხსიერება სამოთხის შესახებ გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ადამი და ევა საკუთარ შვილებს გადასცემდნენ, შვილები საკუთარ შვილებს და ასე მოვიდა ცოდნა სამოთხის შესახებ ჩვენამდე. ეს არის ცოცხალი წარმოდგენა იმ სინამდვილეზე, სადაც დასახლებულნი იყვნენ პირველი ადამიანები და სწორედ რწმენა ამ სწავლებისა და იმედი დაკარგულის დაბრუნებისა აერთიანებს ადამიანებს და ამ ერთობას ჰქვია ეკლესია, რომლის თავი, როგორც უკვე გითხარით, არის იესო ქრისტე.

სამოთხიდან განდევნილ ანუ ექსორიაქმნილ ადამიანს ღმერთმა პირობა დაუდო, რომ ბოლომდე არ გაწირავდა და მოუვლენდა გადამრჩენელს (მაცხოვარს). დაპირებისამებრ მოვიდა იესო ქრისტე წუთისოფელში; მოვიდა ცოდვების ტყვეობიდან ადამიანების გამოსახსნელად. მან, თვით უცოდველმა, იტვირთა ჩვენი ცოდვები; ავიდა ჯვარზე, სიკვდილი დაითმინა, დაფლულ იქმნა, შთავიდა ჯოჯოხეთში, რათა აღედგინა ცოდვით მომკვდარი ადამიანი; შემდგომად სამისა დღისა აღსდგა უფალი ჩვენი მკვდრეთით და ორმოცი დღის განმავლობაში ეჩვენებოდა მოწაფეებს და ამხნევებდა. ამის შემდგომ იგი ამაღლდა ზეცაში, ხოლო მოციქულები ერთად შეკრებილნი ლოცვაში და მასწავლებლის შესახებ საუბარში ატარებდნენ დროს; ისინი მოლოდინში იყვნენ.

მაცხოვრის აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს მათზე გარდამოვიდა სულიწმიდა და ცეცხლის ენების სახით სულიერი ნათელი დაადგათ მათ თავზე. როგორც ეკლესიის ისტორია მოგვითხრობს (საქმე 2,1-11), ამ სასწაულს გარეგნულად ისეთი მოვლენა ახლდა, რომ ამის უცნობელი არავინ დარჩა ამ ქალაქში: საშინელი ქარიშხალი დატრიალდა და ეპიცენტრი ამ ქარიშხლისა იყო იმ სახლის თავზე, სადაც მოციქულები იყვნენ შეკრებილნი. მთელი ქალაქი გამოვიდა, შეიკრიბა ამ სახლის ირგვლივ, რომლის თავზეც ეს საოცარი რამ ხდებოდა–და აი, ჩაწყნარდა რა ყოველივე, თითქოს არც არაფერი ყოფილაო, საოცარი სიმშვიდე ჩამოწვა. გაიხსნა კარები, გამოვიდნენ მოციქულები და ხალხმა იხილა ის, რისი წარმოდგენა არც კი შეეძლოთ. მოციქულები სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობდნენ. ამ დროისთვის იერუსალიმში სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ებრაელების დიდი სიმრავლე იყო (მათ ტრადიციად ჰქონდათ და დღესაც აქვთ პასექის დღესასწაულზე იერუსალიმში ჩასვლა, რათა მონაწილეობა მიეღოთ ებრაული პასექის დღესასწაულში, რომელიც არის ეგვიპტიდან ებრაელების გამოსვლის გახსენება) ბევრ მათგანს დავიწყებულიც ჰქონდა მშობლიური ენა, მოციქულთა მეტყველება კი ყველას ესმოდა თავის ენაზე. ზოგიერთებმა ეს სინამდვლე ვერ დაიტიეს და ამბობდნენ–ალბათ მაჭარი აქვთ დალეულიო. (საქმე 2,12-13). ამის შემდეგ ხალხს ქადაგებით მიმართა პეტრე მოციქულმა (საქმე 2,14-36). ქადაგება იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ „გულზე მოხვდათ და უთხრეს პეტრეს და დანარჩენ მოციქულებს: როგორ მოვიქცეთ ძმებო? ხოლო პეტრემ უთხრა: მოინანიეთ და ყოველი თქვენთაგანი მოინათლოს იესო ქრისტეს სახელით თქვენი ცოდვების მისატევებლად, და მიიღებთ სულიწმიდის ნიჭს...“ (საქმე 237-42) ამ დღეს მოინათლა სამი ათასი ადამიანი. ამ დღეს დაიბადა ქრისტეს ეკლესია, გაჩნდა პირველი მრევლი ქრისტიანული ეკლესიისა. აქედან იწყება ქრისტიანული ეკლესიის ისტორია.

მოციქულებზე სულიწმიდის მადლის გარდამოსვლის შემდეგ ისინი წარიგზავნენ ხალხში საქადაგებლად, რათა ვითარცა კეთილ მწყემსებს ექადაგათ ღვთის სიტყვა მთელ მსოფლიოში გაბნეულ ცხვართა შორის. წმიდა წერილში ვკითხულობთ, ცხვარმა იცის თავისი მწყემსის ხმა. ცხვარი ცნობს ამ ხმას და სწორედ მოციქულების ქადაგებას და მოციქულების მემკვიდრეთა ქადაგებას, რომელიც თაობათა შორის საუკუნეების განმავლობაში ხორციელდება, ეხმაურება ის ცხვარი, რომელიც ცნობს იესო ქრისტეს ხმას; ეხმაურება სიტყვას, რომელი სიტყვაც არის სულიწმიდის მადლით აღვსილი.

ჩვენ ვხარობთ იმის გამო, რომ დღეს არის იმ ეკლესიის დაბადების დღე, რომლის შვილებიც ჩვენ ვართ; ეკლესიისა, რომელმაც ჩვენ შეგვიფარა, ეკლესიისა, რომელმაც შეიფარა წუთისოფლისგან დაწუნებული, ყველასგან უარყოფილი, დაჩაგრული, ხელნაკრავი სამარიტელი, რომელსაც კაცთა შორის გულშემატკივარი არ აღმოაჩნდა. ჩვენ ვართ იმ ეკლესიის შვილები, რომელმაც მიიღო თავის წიაღში ის ავადმყოფი, რომელიც ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში დავრდომილი, უკიდურესი გაჭირვებით მოდიოდა ცხოვართა საბანელთან, რათა განკურნებულიყო იმ საოცარი წყლისაგან მიღებული მადლით, მაგრამ არავინ კაცთაგანი არ აღმოჩნდა, ვინც ამ წყალში ჩაიყვანდა მას; იმ ეკლესიის შვილები ვართ, რომელმაც თვალი აუხილა დაბადებიდან ბრმას, აღადგინა მკვდარნი და კიდევ რამდენი რამის გახსენება შეიძლება; რამდენი ფეხზე მოსიარულე მკვდარი გააცოცხლა ეკლესიამ ჩვენს სინამდვილეში, როცა ადამიანი მკვდარია სიკეთისთვის, სიყვარულისთვის, ხელი აქვს ჩაქნეული ყველაფერზე, სასოწარკვეთილია და სწორედ აქ, ქრისტეს ეკლესიაში პოულობს ნუგეშსა და იმედს; რამდენ ასეთ ადამიანს დღესაც მოუწოდებს ეკლესია, მოუწოდებს ზარების რეკვით, მოუწოდებს ქადაგებით, მოუწოდებს ლოცვით. დღესაც გაისმის უფლის სიტყვები:–მოდით ჩემთან გაბნეულო შვილებო და მე შეგიფარებთ თქვენ, „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენო თქვენ...“ (მთ.11,30). მთავარია, რომ ადამიანმა, რომელსაც სურს მოიძიოს გადარჩენის გზა, ნაბიჯი გადადგას, გაამჟღავნოს თავისი სურვილი, ქმედითი მონდომება. აი, ამ ეკლესიის შვილები ვართ ჩვენ, რომლის წიაღშიც უამრავი სასწაული აღსრულებულა და ეს გრძელდება დღესაც, რომლის წიაღში არა ერთმა ათასმა თუ ასობით ათასმა, არამედ უამრავმა ადამიანმა ათასწლეულების განმავლობაში გადარჩენის გზა იპოვა. ასევე თავის გადარჩენის გზა იპოვა ქრისტეს ეკლესიაში არამარტო ადამიანმა, არამედ საზოგადოდ ჩვენმა ქვეყანამაც, რადგან ერთი რწმენით, სიყვარულით და იმედით იყო გაერთიანებული მისი მოსახლეობა, რომელიც არ ივიწყებდა ღმერთს, იცავდა მის სიტყვას, იცავდა მის წიაღში შემონახულ ტრადიციებს და ერიდებოდა ცოდვას. თუმც კი უცოდველი კაცი არ არსებობს, მაგრამ ერთია ერიდებოდე ცოდვას და უნებლიედ მაინც გემართებოდეს იგი და მეორეა–ეძებდე, ანუ განზრახ სჩადიოდე ცოდვას, ტკბობას ეძიებდე მასში, რასაც ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით თანამედროვე ყოფა-ცხოვრებაში.

ეკლესიაშია ჩვენი გადარჩენა; ჩვენი თავდაცვა და უსაფრთხოებაც ქრისტეს ეკლესიაშია; და ყველაფერი ეს არის მათთვის, ვისაც გააზრებულად სურს ეს. ვინც მონდომებულია ამისთვის და მზად არის თვითონაც რაღაც გააკეთოს, გადადგას ქმედითი ნაბიჯები. ეკლესია არ არის სასოწარკვეთილთა ერთობა, რომელსაც უნდა გადარჩენა, მაგრამ ამისთვის არაფრის გაკეთება არ სურს. არამედ ეს არის მათთვის, ვისი რწმენაც არის ცოცხალი, ვისი ცხოვრებაც არის მიზანდასახული. ეკლესიის უმთავრესი მისიაა–თავის შვილებს წარუძღვეს სასუფევლის გზაზე, ცხოვრების გზაზე და დაიფაროს ისინი ზეციური სასუფევლისათვის, უკვდავებისათვის.

ეკლესიას ასევე აქვს ძალიან მყარად ჩამოყალიბებული სწავლება და გამოკვეთილი პოზიცია, რომლის შესახებაც ხმამაღლა უნდა განვაცხადოთ და გავაცნობიეროთ კიდეც: ზეციური მოქალაქეობის სურვილი გვავალებს ჩვენ, რომ ვიყოთ კეთილი მოქალაქენი ქვეყნისა; ამ ცხოვრებაში წარმოვაჩინოთ ის ღირსებები, რომელი ღირსებითაც გვინდა ღმერთს მოვაწონოთ თავი. ამიტომაც არის განსაკუთრებული ადგილი რომ უკავია ეკლესიის ქადაგებაშიც და მის მოღვაწეობაშიც მამულიშვილობის, პატრიოტიზმის თემას, ღვთისა და სამშობლოს სიყვარულს, მოყვასისადმი სიყვარულსა და მისთვის თავდადებას. თვითმკვლელობა ცოდვაა, მაგრამ მოყვასისათვის თავის გაწირვა–გმირობაა, მადლია და ცხონება; პირადი შეურაცხყოფა უნდა დაამარცხო სიმშვიდით, სიყვარულით, მოთმინებით. მაგრამ, როცა მოყვასს აყენებენ შეურაცხყოფას–შენ უნდა დაიცვა იგი ამ შეურაცხყოფისაგან, გულგრილად არ უნდა ჩაიარო. საჭიროა, რომ ეს ყველაფერი ადამიანმა კარგად გაიაზროს და გააცნობიეროს, თორემ სამწუხაროდ, ისიც ხდება, რომ ჯვარ–ხატებს პატივს მიაგებ, თაყვანს სცემ, პირჯვარს იწერ, ტაძარშიც მიდიხარ, მაგრამ სწორედ მაშინ და სწორედ იქ, სადაც რეალურად უნდა გამჟღავნდეს შენი სარწმუნოება, ისე ჩაივლი, თითქოს შენ ამ ქვეყნისა არა ხარ. თითქოს შენთვის სახარება არავის წაეკითხოს, თითქოს არც კი გაგეგოს ვინ არის იესო ქრისტე. გახსოვთ, წმიდა წერილიდან, თუ შიშისაგან ჰურიათასა როგორ გაიფანტნენ მოციქულები იესოს ჯვარცმის ჟამს და თვით პეტრე მოციქულმა, გამორჩეულმა მოციქულთაგან, როგორ უარჰყო სამგზის თავისი მოძღვარი, როცა უთხრეს შენც ხომ მასთან იყავიო?!–მე არ ვიცი რას მეუბნებით, მე მას არ ვიცნობ, პასუხობს პეტრე და ასე სამგზის უარჰყო მან იესო და რაჟამს მამლის ყივილი შემოესმა, სწორედ მამლის ყივილმა ამხილა იგი, რადგან გაახსენდა მოძღვრის სიტყვები: მამლის ყივილამდე სამგზის უარმყოფო. ნუთუ ისტორიები, რომლებიც წმიდა წერილშია მოთხრობილი ჩვენთვის და ჩვენნაირებისთვის საკმარისი არ არის? ნუთუ დაუჯერებელია ის ცოცხალი მაგალითები, როდესაც ღვთის დიდებისათვის, მოყვასისათვის, სამშობლოსათვის ასობით, ათასობით ადამიანი სიცოცხლეზე ამბობს უარს, განა ასიათასი მოწამე ჯალალედინისგან წამებული ამის ცოცხალი მაგალითი არ არის?!

დღევანდელი საქართველო ჩვენ იმათმა კი არ შემოგვინახა, ვინც ცხოვრებაში მხოლოდ თავის თავის პირად უსაფრთხოებაზე და კეთილდღეობაზე ფიქრობდა, არამედ ეს ქვეყანა შემოგვინახა და ტრადიციები შეგვინარჩუნა და ღირსება შეგვინახა იმ ადამიანებმა, რომელთაც საზოგადო სიკეთისათვის თავისი სიცოცხლე არ დაიშურეს, ვინც მოყვასისათვის თავისი სიცოცხლე არ დაიშურა და ყველაზე ძვირფასი, რაც კი ადამიანს ფიზიკურ ცხოვრებაში გააჩნია – საკუთარი სიცოცხლე მიაქვს სამსხვერპლოზე; სხვას კი არ სწირავს, საკუთარ თავს სწირავს; ამაშია ქრისტესადმი მიმბაძველობა, რამეთუ ქრისტე ჩვენთვის ჯვარს ეცვა, ჩვენთვის მსხვერპლად შეიწირა, თავი თვისი შესწირა. და ჩვენ, როგორც ქრისტეს მიმბაძველნი, როგორც ქრისტეს მიმდევარნი, ამას უნდა ვიქმოდეთ, ამისთვის უნდა ვემზადებოდეთ. ეს მსხვერპლშეწირვა, ეს თავგანწირვა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ყოველ წუთს და ყოველ წამს ხორციელდება. ამისთვის არ არის მაინცდამაინც ხილულად ჯალალედინის გამო-

>>>>>>>>>> 3



## კლინტონი: საქართველო უფრო ძლიერი საერთაშორისო პარტნიორი იქნება



ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი აცხადებს, რომ აშშ-სა და საქართველოს შორის გაფორმებულ თანამშრომლობის ქარტიას შედეგი მოაქვს. აღნიშნული განცხადება ჰილარი კლინტონმა ბათუმში, იუსტიციის სახლში გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

მისი თქმით, საქართველო მომავალი რწმენის ნათელი მაგალითია.

„ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს პარტნიორობა ჩვენი ხალხისა და საზოგადოების ენერგიას, მეწარმეობას და სულისკვეთბას ასახავს. უფრო მეტიც, ჩვენ ურთიერთობებს შედეგი მოაქვს. ამის ნათელი მაგალითი გასული პერიოდია. დილით, სტრატეგიული თანამშრომლობის მესამე პლენარული სესია გვქონდა. ვისაუბრეთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მშვიდობა, უსაფრთხოება, გლობალური ეკონომიკის ზრდის ხელისშეწყობა და დემოკრატიული ღირებულებების გაღრმავება. გადავწყვიტეთ დავეხმაროთ ჩვენს მეცნიერულ საზოგადოებას ითანამშრომლონ ერთმანეთთან, საუბარი შეეხო მილენიუმის გამოწვევებსაც, რომელიც საქართველოსთან მიმართებაში მეორე ხელშეკრულებაზე გადასვლას გულისხმობს“,- განაცხადა აშშ-ს პირველმა დიპლომატმა.

მისი თქმით, საქართველოში დაფუძნებული თავდაცვის სისტემა, აშშ-სა და საქართველოს პრიორიტეტია.

„ჩვენი მიზანია დავეხმაროთ საქართველოს თავი დაიცვას ტერორიზმისა და ტრეფიკინგისაგან. შეხვედრაზე ვისაუბრეთ ISAF-ის სამშვიდობო მისიაზე. ქართველი ჯარები მამაცურად იბრძვიან აშშ-ს ძალებთან ერთად ავღანეთში. ვაფასებთ მათ გამბედაობასა და თავდადებას. საქართველო დიდი წვლილის შემტანია ავღანეთის სამშვიდობო მისიის შესრულებაში“,- განმარტა კლინტონმა.

მისივე განცხადებით, თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში მხარეები თავდაცვის საკითხებზე შეთანხმდნენ.

„აშშ-ს სამხედრო ძალები ქართველ ჯარისკაცებს ტრენინგს უტარებენ. მზად ვართ გავუწიოთ მონიტორინგი სახმელეთო და საჰაერო სივრცეს. ამ ძალისხმევის შედეგად, საქართველო უფრო ძლიერი საერთაშორისო პარტნიორი იქნება“,- განაცხადა ჰილარი კლინტონმა და აქვე დასძინა, რომ ქვეყნის წარმატება დემოკრატიის ხარისხზე იქნება დამოკიდებული.

## ფოთში ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო აშენდება



საქართველოს პრეზიდენტი ფოთს ეწვია და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ანგარიში მოსახლეობასთან ერთად განიხილა.

ადგილობრივებს პრეზიდენტი წყალმომარაგების პრობლემებზე ესაუბრა, რაზეც ფოთში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. მიხეილ სააკაშვილმა მოსახლეობასთან გადაამოწმა მიმდინარეობს თუ არა სამუშაოები ამ მიმართულებით.

„იმ პრობლემების გადალახვის საშუალება, რომელიც ფოთში არსებობს, არის ახალი საწარმოს მშენებლობა. ჩვენ მოველაპარაკეთ „სოკარს“ და ის ფოთში ააშენებს უზარმაზარი სიმძლავრის ქარხანას, რომელიც ქიმიურად გადაამუშავებს ნავთობპროდუქტებს. ეს ნიშნავს დამატებით 2000 დასაქმებულ ადამიანს.

მშენებლობა დაიწყება აგვისტოს ბოლოს და მას 2 წელი დასჭირდება, მშენებლობაზე ადგილობრივები დასაქმდებიან. ასევე ჩვენ ვმუშაობთ კერამიკული ქარხნის აშენებაზე, ავტომანქანების აწყობაზე ფოთში.

ბევრს საუბრობენ, რა დროს ლაზიკაა, როცა ფოთს დახმარება სჭირდებაო, ლაზიკის იდეაა გააძლიეროს ფოთი, ლაზიკაში ხალხი არ ცხოვრობს, ხალხი არის აქ და ლაზიკის მშენებლობაზე ფოთის მოსახლეობა დასაქმდება. ლაზიკა პირველ რიგში ახეირებს ფოთის და სამეგრელოს მოსახლეობას“,- განაცხადა პრეზიდენტმა.

## ეროვნული გამოცდები მომავალი წლიდან აღარ ჩატარდება

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მომავალი წლიდან გამოცდები მხოლოდ სკოლაში გაიმართება, ჩატარდება 8 გამოცდა და ერთი ტესტი უნარჩვევებში, რისი შედეგებითაც ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხებიან.

ამის შესახებ განცხადება, პრეზიდენტმა მასწავლებლებთან შეხვედრისას გააკეთა.

პრეზიდენტის თქმით, ეროვნული გამოცდების პროგრამა წარმატებული იყო, თუმცა ამ ყველაფერს პრობლემები მოჰყვა.

„ამ ყველაფერს მოჰყვა ის, რომ მოსწავლეები, მხოლოდ ეროვნული გამოცდებისთვის ემზადებოდნენ და სკოლაში არაფერს აკეთებდნენ. სკოლები დაცარიელდა, დიმიტრი შაშკინმა და ჩვენ ყველამ ერთად კი, შევძელით ახალგაზრდები სკოლებში დაგვებრუნებინა. ახლა არის, რომ უნდა ჩააბარო რვა გამოცდა, შემდგომ ოთხი, უნდა აიყვანო რეპეტიტორი. ამ ყველაფერმა საზოგადოება ისევ ორ ნაწილად გაყო. ვისაც ეს ფინანსურად შეეძლო და ვინც ამას ვერ ახერხებდა. ეს ასე აღარ უნდა იყოს“,- განაცხადა პრეზიდენტმა.

სააკაშვილის თქმით, განათლების სამინისტროში ბოლო ერთი წელი კამათში რომ არ გაეტარებინათ, ახალი მეთოდი უკვე მიღებული იქნებოდა.

„ეროვნული გამოცდები აღარ უნდა ჩატარდეს. წელს ამას ველარ მოვასწრებთ და მომავლი წლიდან ასე იქნება, ბავშვები ჩააბარებენ რვა გამოცდას სკოლაში და დამატებით უნარჩვევებს“,- განაცხადა პრეზიდენტმა.

ინტერნეტ.ჯი

# ქადაგება

2 <<<<<<<<<<<<

ჩენა, არ არის აუცილებელი რომელიმე დამპყრობლის ტანკებმა მაინცდამაინც საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში გაიაროს. არა! ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ვიმყოფებით ბრძოლის ველზე, ბოროტებასთან დაპირისპირების ველზე და ყოველწუთს ჩვენ გვაქვს იმის საშუალება, რომ გავაკეთოთ არჩევანი და არამარტო საშუალება, არამედ გარდაუვალი ვალდებულება, რომელსაც ვერ გავურბივართ და ჩვენ ვაკეთებთ ამ არჩევანს: ვირჩევთ ქრისტეს ან ბარაბას, მოყვასისათვის თავგანწირვას ან საკუთარი კეთილდღეობისათვის ვწირავთ სხვა ადამიანს, ვცდილობთ წამოვაყენოთ წაქცეული ან წავაქციოთ ჩვენს წინ მიმავალი ადამიანი, რათა გზა გავიკაფოთ.

წუთისოფლის კანონები ეფუძნება ეგოიზმის ცნებას, და ეს არის წარმავლობის კანონი, ეს არის სიკვდილის კანონი; ეგოისტი თვლის, რომ ყველას მისი ვალი აქვს–თვით ღმერთსაც კი. იგი თავის თავს სამყაროს ცენტრად მოიაზრებს და ცდილობს, რომ ყველა და ყველაფერი მოიმსახუროს; მისთვის უცხოა მოყვასის სიყვარული; არა და რას ასწავლის მაცხოვარი მოციქულებს?!–„რომელსა უნებს თქუენ შორის დიდ ყოფაი, იყავნ თქუენდა მსახურ...“ (მთ.20,26-28); „მომბაძეთ მე, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა“ (მთ. 11, 29); ერთმანეთი ისე შეიყვარეთ, როგორც მე მიყვარხართ თქვენ. ამით გიცნობენ, რომ თქვენ ჩემი მოწაფეები ხართო (ინ. 13. 34-35). არ არის საკმარისი მხოლოდ ხმამაღალი დეკლარირება იმისა, რომ ქრისტიანი ხარ. შენს ქრისტიანობაზე შენი საქმეები უნდა მეტყველებდნენ; და გინდა თუ არა, რაჟამს წარსდგები ღვთის წინაშე, უმალ შენი საქმეები ამეტყველდებიან, რასაც ვერსად ვერ წაუხვალ. პირდაპირ გამჭვირვალე იქნება თითოეული კაცი ღვთის წინაშე. ამის შესახებ ჩვენ წმიდა წერილში ვკითხულობთ (მთ. 25,31-46). მოციქული გვეუბნება–„სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკვდარია“ (იაკ. 2, 14-26) მკვდარი სარწმუნოების მატარებელი ადამიანი კი–აქვე, უკვე სიკვდილისთვის არის განწირული.

დღევანდელი დღე არის ნუგეშის, იმედის, გადარჩენის დღე. მთავარია ჩვენ ეს მადლი მივიღოთ, დავიტიოთ იგი ჩვენს თავში და ვმადლობდეთ უფალს. რატომ ვამბობ დავიტიოთ?–მე ჩემი სიტყვის დასაწყისში გითხარით, რომ ადამ და ევას დიდი სიკეთე მიეცათ, მაგრამ ვერ დაიტიეს მათ და შედეგად რა მიიღეს?!–სიკვდილი და ხრწნილება! ხედავ, რა ემართება უმადურს? დიდია შემოქმედის სიყვარული საკუთარი ქმნილების მიმართ და იგი კვლავ მოვიდა ადამიანებთან, გვაძლევს გადარჩენის შანსს.

ცხოვრებაში თქვენ გინახავთ, შეგხვედრიათ ისეთი განსაცდელები, როცა ადამიანი ვერ უძლებს დიდ სიკეთეს, დიდ სიმდიდრეს, დიდ თანამდებობას, დიდ ყურადღებასა და თვით დიდ სიყვარულსაც კი და იჯერებს, რომ იგი ამ ყველაფრის ღირსია, იმსახურებს. როგორც კი ამას იჯერებს, აქ იწყება მისი დაცემა; ფაქტიურად იგი ფიქრობს, რომ არის ყველაზე უკეთესი, ყველაზე კარგი; ნაცვლად იმისა, რომ მეტი თავმდაბლობითა და უბრალოებით შეიმოსოს, იწყებს თავისი თავით ტკბობას და აქ იწყება ეგოიზმის ზეიმი; აქ იწყება სწორედ კვდომა ადამიანისა.

ეკლესია გვასწავლის სინანულს, რადგან ღმერთის წინაშე ადამიანმა მხოლოდ თავმდაბლობით შეიძლება მოიწონოს თავი. მხოლოდ თავმდაბლობით შეიძლება აღეძრას ადამიანს სურვილი სხვა ადამიანზე ზრუნვისა. მხოლოდ თავმდაბალმა ადამიანმა შეიძლება შეამჩნიოს სხვა ადამიანში ნიჭი და სიკეთე. ნამდვილად დიდი ადამიანობაა საჭირო, რომ დაინახო ადამიანები, რომლებმაც შენზე მეტი იციან, შენზე დიდი გამოცდილება აქვთ, შენზე მეტი უნახავთ, შენზე კარგი სიტყვა აქვთ, შენზე უფრო კარგად იქცევიან.

რამდენი რამის თქმა შეიძლება კიდევ, მაგრამ აი ამ ყველაფერს და კიდევ უფრო მეტს, რომლის თქმაც კაცისაგან შეუძლებელია, გვასწავლის ეკლესია, გვასწავლის ნაბიჯ-ნაბიჯ ცხოვრების გზაზე. საჭიროა მხოლოდ, რომ ამ ყოველ ნაბიჯს ჩვენი ნაბიჯებიც ეთანხმებოდეს, და მზადყოფნაში იყოს ჩვენი ყურთასმენაც მოსასმენად, მზადყოფნაში იყოს ჩვენი თვალიც დასანახად; აკი ამბობს უფალი, თვალები გაქვთ და ვერ ხედავთ, ყურები გაქვთ და არ გესმითო (მკ. 8,18). ვინც თავის მოწოდებას ვერ პასუხობს, რათქმა უნდა ის უარესია ყველა მის დაბლა მდგომ ქმნილებაზე სწორედ იმიტომ, რომ ადამიანი უფრო მეტისთვის არის შექმნილი. იგი ხომ ღვთაებრივი შემოქმედების გვირგვინია,–უმაღლესი ქმნილება ღმერთისა, მის ხატად შექმნილი, მოაზროვნედ შექმნილი, ანალიზის უნარი რომ აქვს მაგრამ არ იყენებს, ფიქრის უნარი რომ აქვს მიცემული და არ ფიქრობს, დანახვის უნარი რომ აქვს და არ ხედავს, მოსმენის ნიჭი აქვს მიცემული და არ ისმენს. ამით კი ემსგავსება მას, ვინც უფლისგან მიღებული ტალანტი დაფლა მიწაში და არ განამრავლა, რისთვისაც დაისაჯა კიდეც (მთ. 25,14-30). აი, რა ელოდება თითოეულ ადამიანს, რომელსაც მოეცა სხვადასხვა ნიჭი, სიკეთეები, რაც ღვთის დიდებას და ადამიანის კეთილდღეობას უნდა ამსახუროს, და ამას არ იყენებს. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეს მადლი და წყალობა ღვთისა, რაც ეკლესიის სახით მოგვეცა, გამოვიყენოთ იმისთვის, ჩვენ ვცხონდეთ და ჩვენს ირგვლივ ათასები ცხონდნენ.



კვლავ და კვლავ გილოცავთ დღევანდელ დღეს თითოეულ თქვენთაგანს! სრულიად საქართველოს ვულოცავ ამ დიდებულ დღეს, რადგან საუკუნეთა განმავლობაში ჩვენი ერის, ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი სახელმწიფოებრიობის ფუნდამენტად იქცა საქართველოს სამოციქულო ეკლესია. ჩვენი ეკლესია არამარტო სულის საცხოვნებელ გზას და საშუალებას წარმოადგენს ჩვენთვის, არამედ იგი იქცა ჩვენი ერის გადარჩენის, ჩვენი სახელმწიფოებრიობის დაცვისა და ჩვენი თვითმყოფადობის შენარჩუნების საშუალებად. ამიტომ სულიერთან ერთად საქართველოს ეკლესიას ძალიან დიდი ეროვნული და პოლიტიკური მისიაც აკისრია. ამ მისიაზე დიდად არის დამოკიდებული, თუ როგორ გაუმკლავდება ქართველი ერი ეპოქის ურთულეს გამოწვევებს და რამდენად მტკიცე იქნება ქართული სახელმწიფოებრიობა, რაც ერის განვითარების უმთავრეს პირობას წარმოადგენს. ჩვენი ერისა და ქვეყნის მომავალს ცალსახად განაპირობებს ერისა და ბერის ერთობა, სახელმწიფოსა და ეკლესიის მტკიცე კავშირი და ნაყოფიერი თანამშრომლობა მომავალი თაობების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

***ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ! კურთხევა უფლისა იყოს თქვენზედა, ჩვენზედა, სრულიად საქართველოზე მისითა მადლითა და კაცთმოყვარებითა, ამინ!***

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მამუკა ჭოხონელიძის ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2011 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

**ქალბატონებო და ბატონებო,**

მაქვს პატივი, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით მივესალმო და მადლობა ვუთხრა მობრძანებისათვის ფოთისა და ხობის ეპისკოპოსს, მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, მიტროპოლიტს მეუფე გრიგოლს, მოწვეულ სტუმრებს, არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლებს.

გვინდა მადლობა გითხრათ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველს, ხობის საზოგადოებას მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის. მადლობა, რომ ასე აქტიურად განიხილავდით ჩვენს ნებისმიერ აზრსა და გადაწყვეტილებას. ხან შეგვეკამათებოდით, ზოგჯერ შემოგვძახებდით კიდეც. მადლობასაც ხშირად ვკითხულობდით თქვენს თვალებში, მაგრამ მაამებელი არასოდეს ყოფილხართ და, ამიტომაც, ჩვენ არ გვქონდა მოდუნების, თვითკმაყოფილების, სიმშვიდის განცდის უფლება. მადლობა იმისთვის, რომ ახალი ქვეყნის მშენებლობის რთულ გზაზე განსაკუთრებული სიფხიზლით, შეუცდომლად იარეთ და ჩვენც არ მოგვეცით იმის უფლება, რამე შეგვშლოდა. თუ რაიმე კარგი შევძელით ამ წლების მანძილზე, უპირველესად, ერთიანი ძალისხმევით, თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დაფუძნებული მუშაობით. ამის საფუძველი კი შინაგანი განათლებულობა და ის შინაგანი კულტურაა, რომელიც კოდირებულად დევს თითოეულ ქართველში. კვლავაც გვაქვს იმედი, იმედი და არა ოცნება, რომ ერთიანი ძალისხმევით ჩვენ შევქმნით ხობის მუნიციპალიტეტის უკეთეს მომავალს და ამაყად ვივლით მართვის დემოკრატიული ფორმით პროგრესულ გზაზე შემდგარი ჩვენი ქვეყნის კვალდაკვალ. ეს იმედი უბრალო არ არის. ამ იმედის გამართლებისთვის ჩვენ და თქვენ კვლავ ბევრი მუშაობა მოგვიწევს. ჩვენი უკეთესი ხვალინდელი დღე ერთმანეთის გარეშე ძნელი მისაღწევია, ერთობით, ერთიანი ძალისხმევით გვაქვს ყველა პირობა იმისა, რომ წარმატებული გავხადოთ ხობის მუნიციპალიტეტი და ამით ხელი შევუწყოთ ქვეყნის წინსვლასა და აღმშენებლობას.



ჩვენ ანგარიშვალდებული ვართ თქვენ წინაშე, ამიტომაც გადავწყვიტეთ, მოკლე ანგარიშის სახით, კიდევ ერთხელ, წარმოგვედგინა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა.

დღევანდელი ჩემი მოხსენება მოტივირებულია ერთი ძირითადი ასპექტით: საკრებულოს თავმჯდომარე ამომრჩეველს აბარებს ანგარიშს, რათა შეფასდეს, რამდენად სწორად იმართება წარმომადგენლობითი ორგანო, რამდენად პროდუქტული იყო გაწეული საქმიანობა და, საზოგადოებასთან ერთობლივად მოხდეს სამომავლოდ სამოქმედო გეგმის ფორმირება და სრულყოფა.



ზოგადად, საზოგადოება და, გამორჩეულად, მისი ინტელექტუალური ნაწილი არათუ ინდიფერენტულია ხელისუფლების მიერ მიღებული ამა თუ იმ გადაწყვეტილებისა და გადადგმული ნაბიჯის მიმართ, არამედ სრული სიზუსტით განსაზღვრავს ნებისმიერი გადაწყვეტილების ავ-კარგსა და ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობას. პროგრესული სამოქალაქო საზოგადოება ხელისუფლებისათვის საიმედო ფარიც არის და ბასრი მახვილიც. ამის მაგალითად 2003 წლის ნოემბრის მოვლენებისა და 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების მოყვანაც კმარა. პირველ შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეებმა უარი ვთქვით ქვეყნის დაქცევის პროცესის გაგრძელებაზე; მეორე შემთხვევაში კი–მხარი დავუჭირეთ ქვეყნის აღმშენებლობის კურსს. ხელისუფლება უნდა დღენიადაგ გრძნობდეს საზოგადოების მაჯისცემას და მისი პრობლემებისა და კეთილდღეობის თანაზიარი იყოს. მინდა დამიჯეროთ, რომ საანგარიშო პერიოდში საკრებულოს საქმიანობა ამ უმთავრესი პრინციპით იყო საფუძველდებული. თითოეული ჩვენგანი, შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად ვიღვწოდით მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისათვის; გვსურდა, უფრო ეფექტურად გვემართა არსებული რესურსები, გამოგვევლინა ახალი და გამოგვეყენებინა მუნიციპალიტეტის სასიკეთოდ; ვცდილობდით, ინტენსიური და საქმიანი ურთიერთობა გვქონოდა მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან; ყველას გვაერთიანებდა ერთი შეუვალი პრინციპი–შეგვექმნა უფრო ჯანსაღი ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გარემო; ვისწრაფვოდით მიზნისაკენ–თუნდაც მცირედად, მაგრამ მაინც ნოყიერი ნიადაგი მოგვემზადებინა მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარებისათვის. რა შევძელით და რა არ გამოგვივიდა, რის გაკეთება გვმართებდა და არ შევასრულეთ–თქვენი განსასჯელია. მე კი უნდა გითხრათ, რომ, თუ რამე ღირებულია მიღწეული, მხოლოდ საზოგადოებისა და საკრებულოს ერთობლივი ძალისხმევით, ხოლო, თუ რამე შესაძლებელი დარჩა განუხორციელებელი, საკრებულო პასუხისმგებლობას არ იხსნის.

ჩვენი მიზანი იყო გაგვემართლებინა ამომრჩევლის ნდობა, ვყოფილიყავით ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებისა და, საერთოდ, ქვეყნის სამსახურში. აგვემოქმედებინა მუნიციპალიტეტში არსებული ყველა რესურსი - ინტელექტუალური, პროფესიული, ადამიანური თუ ეკონომიკური. დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებით ხელი შეგვეწყო სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის, სახელმწიფოებრივი აზროვნების დახვეწის, კანონის უზენაესობის გათავისებისა და ამ ღირებულებათა საფუძველზე–ურთიერთთანამშრომლობისათვის ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის.

2011 წელი იყო ახალი ინიციატივებისა და იდეების წელი, ვინაიდან ახალი საანგარიშო წლიდან 2010 წელს აღებული სასტარტო პირობები უნდა შეენარჩუნებინა ახალი მოწვევის საკრებულოს ახალი უფლებამოსილებებითა და გაზრდილი პასუხისმგებლობით. არჩევითი სახელისუფლებო ორგანოების გადაბარების დემოკრატიულ მექანიზმს - არჩევნებს არამარტო სამომავლოდ განსახორციელებელი გეგმებისა და ახალი იდეების შემუშავების უპირატესობა აქვს, არამედ, ის ნათლად გვაძლევს ძველი ნამოქმედარისა და უკვე გადადგმული ნაბიჯების სისწორის ანალიზის საშუალებას.

ამჟამინდელი საკრებულო ფუნქციონირებს 2010 წლის 30 მაისს ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს–საკრებულოს არჩევნების შედეგებით, რამაც კიდევ ერთხელ განამტკიცა ღირსეული დასაწყისის ღირსეულად გაგრძელების შესაძლებლობა. არჩევნები, ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისათვის, ხატოვ-

>>>>>>>>>>>> 4

## პარლამენტარები შეხვდნენ მუნიციპალიტეტის ქალაქის, თემებისა და სოფლების მოსახლეობას

1 <<<<<<<<<<

შეხვდნენ.

შეხვედრებზე გამოიკვეთა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ყველაზე მეტად აღელვებს მოსახლეობას და რომელიც ყველაზე აქტუალურია დღეს. ზოგადად ყველა ეს პრობლემა ერთმანეთის მსგავსია და იგი ძირითადად შეეხება უმუშევრობას, სოციალურად დაუცველ ოჯახებზე კატეგორიის მინიჭებისას არსებული გაუგებრობებს, ხვნა-თესვის პროცესების მიმდინარეობას, გზების მოწესრიგებას, ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებას, ზაფხულში მომრავლებული მავნე მწერების შეწამვლას.


პარლამენტარი ეკა ხერხეულიძე ხობში

ჩამოსული დეპუტატები ყურადღებით უსმენდნენ თითოეული მოქალაქის გამოსვლას, ინიშნავდნენ პრობლემებს, სვამდნენ შეკითხვებს. მათ, შეკრებილ მოსახლეობას კიდევ ერთხელ განუმარტეს თუ რა გზით და საით მიდის ჩვენი ქვეყანა, პირველ რიგში კი აღნიშნეს, როგორ გაიწმინდა საზოგადოება კრიმინალებისა და ქურდებისაგან, როგორ მოგვარდა მოსახლეობის უწყვეტი ელექტროენერგიით მომარაგება, როგორ გვარდება წყლის მიწოდების პრობლემა, თუ როგორ მიმდინარეობს რეფორმები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ჩვენ ვიცით–აღნიშნეს მათ–რა გავაკეთეთ დღემდე, ეს შეეხება ახალ გზებს, ხიდებს, სასტუმროებს, სპორტულ მოედნებს, გასართობ და კულტურულ ცენტრებს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ საქართველოში თითოეულმა ოჯახმა, მოქალაქემ თავი იგრძნოს ყოველმხრივ დაცულად, განსაკუთრებით კი სოფლის მოსახლეობამ, ჩვენ ვიწყებთ სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ამოქმედებას, ვცდილობთ შევქმნათ მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და მოვიზიდოთ ინვესტორები, განვავითაროთ სოფლის მეურნეობის ქართული მიმართულებები.

ჩვენი მიზანი იყო და არის მოვუსმინოთ ხალხს, პირადად მათგან გავიგოთ ის მიზეზები, რომელიც მათ ყოფას ძნელს ხდის, რისი გაკეთება სურთ ზოგადად სოფელში, ცენტრში და როგორც სოფლის მხარდაჭერის პროექტებია წარმატებული, ასევე შევიმუშავოთ ახალი პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჩვენს შემდგომ წინსვლას.

კმაყოფილებას გამოვხატავთ და მადლობა იმისათვის, რომ იყავით ჩვენს გვერდით, ჩვენთან ერთად და გაგვაცანით ის ინფორმაციები, რომლებიც პრობლემურია სოფლებისა თუ ქალაქში მაცხოვრებელთათვის.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ მადლობა გადაუხადა პარლამენტის წევრებს ხობის მუნიციპალიტეტში ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტებისათვის, მუდმივი ყურადღებისა და თანადგომისათვის.

**მანანა შულაია.**




## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

1 <<<<<<<<<<

მობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" (მომხსენებელი: ა. ვარდია –გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი);

3. განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 9 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე-საკრებულოს თავმჯდომარე; თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა–გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

4. განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინაასაარჩევნო კამპანიის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ" (მომხსენებელი: მ. სილოგავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

5. განკარგულების პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების შესახებ" (მომხსენებელი: ბ. ჯიქია-საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

6. განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" (მომხსენებელი: ა. ვარდია–გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი);

7. განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების შესახებ" (მომხსენებელი: ა. ვარდია–გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი);

8. განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ზოგიერთი ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" (მომხსენებელი: მ. სილოგავა –იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე );

9. ინფორმაციის მოსმენა ახალი ხიბულისა და ხეთის თემების ტერიტორიაზე ცოფის საწინააღმდეგოდ გატარებული ღონისძიებების შედეგების შესახებ (მომხსენებელი: შ. კანკია–გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსი; შ. საბახტარაშვილი–არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" დირექტორი).

წარმოდგენილი საკითხების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია**

3 <<<<<<<<<<

ნად რომ ვთქვათ, „პოლიტიკური განკითხვის დღეა". როგორია ამა თუ იმ პოლიტიკური ძალისადმი საზოგადოების დამოკიდებულება, ეს არჩევნებზე ირკვევა. საკრებულოს თითოეული წევრი მეტად ამაყი უნდა იყოს, და ვართ კიდევაც, რომ სწორედ ჩვენ გვერგო პატივი, ვყოფილიყავით თქვენი რჩეული. თუმცაღა, ისიც კარგად გვესმის, რომ ეს ნდობა თითოეული ამომრჩევლის წინაშე ჩვენი პასუხისმგებლობის ისედაც მძიმე ტვირთს უფრო ამძიმებს. იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნებზე მიღებული შედეგები სარეიტინგო ბარომეტრია ნებისმიერი პოლიტიკური გუნდისა და არჩევითი ორგანოსათვის, იმ შედეგების დადგომაში, რაც მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის არჩევნებზე დადგა, უდიდესი წვლილი წინა მოწვევის საკრებულოს, უპირველესად, თითოეულ თქვენგანს მიუძღვის. როგორც აღმოჩნდა, საზოგადოების შეფასებით, ჩვენ შევძელით, სახელმწიფო ხელისუფლების კვალდაკვალ გვევლო, ჩავბმულიყავით ქვეყნის აღმშენებლობის ფერხულში და ჩვენი კომპეტენცია მაქსიმალურად აღგვესრულებინა.

პოლიტიკური წარმომადგენლობის შესაბამისად, საკრებულოში ჩამოყალიბებულია 2 ფრაქცია–„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და „ხობი-დემოკრატები", რომელთა მუშაობის პროცესში ფორმირდება კონკრეტული შეხედულებები და ერთიანი აზრი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

საკრებულოში ფუნქციონირებს 5 კომისია: სამანდატო-საპროცედურო საკითხთა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის, საფინანსო-სარევიზიო, სოციალურ საკითხთა (ჯანდაცვა, კულტურა, განათლება, სპორტი) და ეკონომიკური განვითარების საკითხთა (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, მომსახურება, ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვა) კომისიები. საკრებულოს ყველა წევრი გაწევრებულია ერთ, ან ორ კომისიაში.

ჩამოთვლილი კომისიების გარდა, საკრებულოში ფუნქციონირებს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია.

საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების მომზადებისთვის და ინიცირების წესით შემოსული პროექტების შესწავლისა და სათანადო დასკვნების მოსამზადებლად აქტიურ საქმიანობას ეწეოდნენ საკრებულოს კომისიები. თითოეული გადაწყვეტილების მიღებამდე ხდებოდა ყოველი პროექტის თუ წინადადების დეტალური შესწავლა და დამუშავება, რაც საკრებულოს დებულებით განსაზღვრული პროცედურებით ხორციელდებოდა.


ხობის საავადმყოფოს შენობა. 2003 წ.


ხობის საავადმყოფოს შენობა. 2011 წ.

> **„თუ რამე ღირებულია მიღწეული, მხოლოდ საზოგადოებისა და საკრებულოს ერთობლივი ძალისხმევით.**
> **ჩვენი მიზანი იყო გაგვემართლებინა ამომრჩევლის ნდობა, ვყოფილიყავით ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებისა და, საერთოდ, ქვეყნის სამსახურში."**

საკრებულოს ბიუროს, კომისიებისა და ფრაქციების მიერ შესწავლილი საკითხები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საკრებულოს უმაღლეს ორგანოს–საკრებულოს სხდომას.


კულტურის სახლი 2011 წ.


კულტურის სახლი 2003 წ.

საკრებულოს ორგანოების მიერ 2011 წლის განმავლობაში შესწავლილი და განხილული საკითხებიდან საკრებულოს ბიუროს წარედგინა 134 საკითხი, რომელთაგან 114 განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში იქნა შეტანილი, რის შემდგომაც მიღებულია 37 ნორმატიული აქტი–დადგენილება, 57 ინდივიდუალური აქტი –განკარგულება, მოსმენილ იქნა სხვადასხვა სახის 17 ანგარიში, პერიოდულად განიხილებოდა ინფორმაციები ადგილობრივი ბიუჯეტისა თუ იურიდიული პირებისთვის დამტკიცებული ბიუჯეტების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე. საკრებულოს მხრიდან 8 თანხმობა იქნა მიცემული საკრებულოს თავმჯდომარისთვის, აღმასრულებელი ორგანოსა თუ იურიდიული პირებისთვის სხვადასხვა სახის ინიცირებული წინადადებისა და უფლებამოსილების განხორციელებაზე.


საცხოვრებელი კორპუსი . 2011 წ.

საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით, საკრებულოს თავმჯდომარეს მიენიჭა უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება ისეთ საკითხებზე, რაც

### ანგარიში

ადრე საკრებულოს, გამგეობის, ან გამგებლის კომპეტენციას განეკუთვნებოდა. მათ შორისაა ისეთი საკითხები, როგორიცაა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვაზე გადაწყვეტილების მიღება, საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცება, სხვადასხვა სახის კომისიების შექმნა და ა. შ. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2011 წელს გამოცემული 325 ბრძანებიდან 250 სწორედ ამ უფლებამოსილების განხორციელებას შეეხება.

საკრებულოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. ყველა ნორმატიული აქტი ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში, ხოლო საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია 2006 წლიდან დღემდე მიღებული როგორც ნორმატიული, ასევე ინდივიდუალური აქტები.

საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საანგარიშო წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცება, რომლის შესაბამისადაც უნდა წარიმართოს მთელი საფინანსო წელიწადი. შესაბამისად, შემოსული განსახილველი საკითხებიდან და პროექტებიდან დიდი წილი ბიუჯეტში ცვლილებათა პროექტებზე მოდის. 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცდა 2010 წლის 31 დეკემბერს და საანგარიშო წლის განმავლობაში მასში 7 ცვლილება განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების 2010 წლის არჩევნების შემდეგ ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, საკრებულოს კომპეტენციას მიეკუთვნა ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცება, რაც ადრე გამგეობის მიერ შესყიდვების სააგენტოს წარედგინებოდა. საკრებულოში შემოსულ ბიუჯეტის პროექტებს და ბიუჯეტის ანგარიშებს წინასწარ განიხილავს საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისია. საკრებულოს სხდომაზე საკითხის გატანამდე სხვა კომისიებთან და ბიუროსთან ერთად


საცხოვრებელი კორპუსი. 2003 წ.

>>>>>>>>>>>

## ანგარიში

4 <<<<<<<<<<

ფორმირდება შესაბამისი დასკვნები და წინადადებები. აქტიურ მუშაობად უნდა ჩაითვალოს, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მუდამ არსებობს შესაბამისი კომპეტენტური და ვრცელი დასკვნები. დასკვნებში აისახება რეკომენდაციები და წინადადებებიც, რომელთა საფუძველზე, საკრებულოს მიერ საკრებულოს სხდომებზე არაერთხელ შეტანილა ცვლილებები პროექტში.

მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტების განხილვაც, როგორც წესი, საკრებულოს დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვით ხორციელდება, ჩვენი მიზანია, ცვლილება ცვლილებისთვის არ მოხდეს და ნებისმიერი თანხის გადანაწილება მუნიციპალიტეტისთვის სარგებლისა და დადებითი ეფექტების მომცემი იყოს.

ბიუჯეტის განხილვისა და მიღებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია მისი წინასწარ გამოქვეყნება და საჯარო განხილვა, ვინაიდან ბიუჯეტი, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არა მარტო უკვე დამტკიცებული სახით უნდა მიეწოდებოდეს საზოგადოებას, არამედ იგი წინასწარ უნდა ეცნობოდეს პროექტს, უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოებასთან ერთად მისი საჯარო განხილვა, რათა ის ხარვეზები, რაც შემდგომში ცვლილებების პროექტით უნდა გასწორდეს, წინასწარ იქნეს გათვალისწინებული და დასაწყისშივე მასში საზოგადოების ინტერესები და მოთხოვნები იქნეს ასახული.

ამ მიზნით, გასული წლების მსგავსად, 2011 წლის ბიუჯეტის პროექტიც წინასწარ გამოქვეყნდა პრესაში და საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე. უკანასკნელი–2010, 2011 და 2012 წლების ბიუჯეტები, როგორც კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, საანგარიშო წლის დაწყებამდე იქნა დამტკიცებული. ინტერესმოკლებული არ იქნება გადავხედოთ საბიუჯეტო შემოსავლების დინამიკას უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში:

2002 წელი–592.6 ათასი ლარი;
2003 წელი–682.2 ათასი ლარი;
2004 წელი–1410.9 ათასი ლარი;
2005 წელი–3690,0 ათასი ლარი;
2006 წელი–6250,1 ათასი ლარი;
2007 წელი–14597,4 ათასი ლარი;
2008 წელი–9893,7 ათასი ლარი;
2009 წელი–7822,6 ათასი ლარი;
2010 წელი–8758,1 ათასი ლარი;
2011 წელი–7288,2 ათასი ლარი;

როგორც ზემოთ მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, უკანასკნელ წლებში ადგილობრივი ბიუჯეტის მაჩვენებლები მერყეობს 7-8 მილიონი ლარის ფარგლებში, რაც 10 წლის წინანდელ მაჩვენებლებს 12-14-ჯერ აღემატება. ადგილობრივი ბიუჯეტის რეკორდული მაჩვენებლები მუნიციპალიტეტის ისტორიაში დაფიქსირდა 2007 წელს, რაც შპს „ბლექ სი ინდასტრის“ მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწების გაზისა და ნავთობტერმინალების გადასაზიდი სარკინიგზო ინფრასტრუქტურისთვის შეძენით იქნა განპირობებული.

2011 წლის ბოლოსთვის, ადგილობრივი ბიუჯეტის 2012 წლის მაჩვენებლები 6586,0 ათასი ლარით დაიგეგმა, რაც დღეის მდგომარეობით 6903,8 ათას ლარამდეა გაზრდილი და წლის განმავლობაში მოსალოდნელი სხვადასხვა სახის შემოსავლისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი ტრანსფერების საფუძველზე, დიდი ალბათობით, მნიშვნელოვნად გაიზრდება.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მზარდი საბიუჯეტო შემოსავლების საფუძველზე, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელდა მრავალი გადაუდებელი და აუცილებელი ღონისძიება. 2003 წელს ჩვენ ჩავიბარეთ გაძარცული ხაზინა, გაპარტახებული ინფრასტრუქტურა, მოშლილი ეკონომიკა. ამიტომაც, პირველ რიგში პრიორიტეტად იქნა დასახული მოშლილი ინფრასტრუქტურის აღდგენა და ობიექტების რეაბილიტაცია, რაც ძირითადი ფაქტორი უნდა გამხდარიყო ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისათვის ხელშეწყობისა.


საჩხაოს კულტურის სახლი. 2003 წ.

**„ჩვენი მიზანი იყო გაგვემართლებინა ამომრჩევლის ნდობა, ვყოფილიყავით ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებისა და, საერთოდ, ქვეყნის სამსახურში.“**

ვინაიდან საუბარი შეეხო მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარებისა და რეაბილიტაციის სამუშაოებს, აღვნიშნავთ, რომ როგორც გადაწყვეტილებების მიღების კუთხით არის გაზრდილი საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები, ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განსახორციელებელი პროექტების უზრუნველსაყოფად გამართული ტენდერების შემდგომ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები მუნიციპალიტეტის სახელით საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ფორმდება. მსგავსი შესყიდვების მიზნით, 2011 წლის განმავლობაში საკრებულოს თავმჯდომარის სახელით გაფორმებულია 203 ხელშეკრულება, რომელთა საფუძველზეც, და ასევე „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე 2 მილიონ ლარამდე ღირებულების სამუშაოები ჩატარდა, კერძოდ: მდინარეთა ნაპირგამაგრების სამუშაოები–დამბების ამაღლება და აღდგენა, ხიდების რეაბილიტაცია და გამაგრება, ხიდბოგირებისა და მილხიდების მშენებლობა და რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების მოწყობა და ამოწმენდა, წყალსადენი სისტემის და კანალიზაციის რეაბილიტაცია, ჭაბურღილების მოწყობა და წყლის ტუმბოების შეძენა-მონტაჟი, ნაგავსაყრელი პოლიგონის მოწყობა, გზების ორმული შეკეთება და მოხრეშვა, ქ. ხობის ქუჩების მოვლა-შენახვა, შენობების ფასადების შეღებვა, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, სკვერებსა და პარკებში განათების მოწყობა, სტადიონების მოწყობა და განათების დამონტაჟება, სასაფლაოებისა და სკოლების შემოღობვა, ადმინისტრაციული შენობების, სკოლებისა და სპორტული დარბაზების რემონტი, სკოლების, ბაღებისა და ადმინისტრაციული შენობების სახურავების რეაბილიტაცია და სხვა.


2003 წ.

ცოტნე დადიანის სახელობის სკვერი.


2011 წ.


საჩხაოს კულტურის სახლი. 2011 წ.

ვფიქრობთ, არც ის იქნება ინტერესმოკლებული, 2011 წელს განხორციელებული სამუშაოები განვიხილოთ მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით. მთლიანად, კაპიტალურ სამუშაოებზე საბიუჯეტო თანხები გახარჯულია 1633,8 ათასი ლარის მოცულობით, საიდანაც 931,9 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტის ხვედრითი წილია, ხოლო 701,9 ათასი ლარი მომართულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში. ზემოთ აღნიშნული თანხები ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

**ქ. ხობი**–293,7 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტიდან)

**ახალი ხიბულა**–52,1 ათასი ლარი (მათ შორის: 11,2 ათასი ლარი–ადგილობრივი ბიუჯეტიდან,
40,9 ათასი ლარი–სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**ახალსოფელი**–32,0 ათასი ლარი (მათ შორის: 2,8 ათასი ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტიდან,

**„საკრებულოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.“**

29,2 ათასი ლარი–სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**ბია**–29,0 ათასი ლარი (მათ შორის: 6,2 ათასი ლარი–ადგილობრივი ბიუჯეტიდან,
22,8 ათასი ლარი–სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**გურიფული**–23,9 ათასი ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**ზემო ქვალონი**–21,3 ათასი ლარი (მათ შორის: 0,9 ათასი ლარი–ადგილობრივი ბიუჯეტიდან,
20,4 ათასი ლარი–სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**თორსა-დღვაბა**–37,5 ათასი ლარი (მათ შორის: 4,9 ათასი ლარი–ადგილობრივი ბიუჯეტიდან,
32,6 ათასი ლარი–სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**ნოჯიხევი**–62,1 ათასი ლარი (მათ შორის: 5,6 ათასი ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტიდან,

>>>>>>>>>> 6

## დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება N149

**2012 წლის 25 მაისი ქ. ხობი**

### უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების ღირებულების ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 25 მაისის N553 წერილის შესაბამისად ვბრძანებ:

1. მიღებულიქნეს უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების კომისიის წინადადება და გამგეობაში შემოსული მოქალაქეების განცხადებების საფუძველზე, მათი სამედიცინო მომსახურების ღირებულების ნაწილობრივ დაფინანსების მიზნით სოციალური პაკეტიდან გამოიყოს **თანხა 10190 (ათიათას ასოთხმოცდაათი)** ლარის ოდენობით.
2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას (გ. ღურწკაია) ბრძანების პირველი პუნქტის აღსრულების უზრუნველყოფა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თანახმად დანართისა.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. N192).

**საკრებულოს თავმჯდომარე**
**მამუკა ჭოხონელიძე**

---

**დანართი**

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 25 მაისის N149 ბრძანებისა.**

| № | გვარი, სახელი | მისამართი | სამედიცინო დაწესებულება | ოქმი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | არახამია ანრი | შუახორგა | შპს „ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი ჯაფარიძე ქევანიშვილის კლინიკა" | 3 | 2000 |
| 2 | ფაჩულია ავთანდილი | ხობი | შპს ხობის რაიონული ცენტრალური საავადმყოფო | 6 | 300 |
| 3 | ხვიჩია არსენა | ახალსოფელი | სს „წმინდა ნიკოლოზის ქირურგიული ცენტრი" | 6 | 400 |
| 4 | მიქაუტაძე მერაბი | ხობი | შპს „კლინიკა-ლჯ" | 6 | 350 |
| 5 | ბერაია ნანული | ახალსოფელი | შპს „გევა კლინიკა" | 7 | 800 |
| 6 | შონია როსტევანი | ყულევი | შპს ხობის რაიონული ცენტრალური საავადმყოფო | 8 | 1000 |
| 7 | ხურცილავა გიორგი | ნოჯიხევი | შპს „ახალი მზერა" | 8 | 1500 |
| 8 | რეკვავა შურა | პირველი მაისი | ქუთაისის საეკლესიო საავადმყოფო | 9 | 1350 |
| 9 | ხუნწარია თეონა | პირველი მაისი | შპს სამშობიარო სახლი „სენა-მედი" | 9 | 400 |
| 10 | წულაია ნაირა | ქვემო ქვალონი | შპს სამშობიარო სახლი „სენა-მედი" | 11 | 500 |
| 11 | გერგაია ვაჟიკო | ხობი | შპს თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯი" | 12 | 300 |
| 12 | თაყაძე ნინო | ხობი | სს „იავნანა" | 13 | 350 |
| 13 | ლატარია ვარლამი | ხობი | ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკა" | 13 | 640 |
| 14 | ბებურია ცეზარი | ხობი | ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკა" | 14 | 300 |
| | | | **ჯამი** | | 10190 |

**საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე**

>>>>>>>>>> 6

## ანგარიში

5 <<<<<<<<<<

56,5 ათასი ლარი–სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**პატარა ფოთი**–40,2 ათასი ლარი (მათ შორის: 13,7 ათასი ლარი–ადგილობრივი ბიუჯეტიდან,

26,5 ათასი ლარი–სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**პირველი მაისი**–102,0 ათასი ლარი (მათ შორის: 55,6 ათასი ლარი–ადგილობრივი ბიუჯეტიდან,

46,4 ათასი ლარი–სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**პირველი ხორგა**–22,1 ათასი ლარი (მათ შორის: 8,0 ათასი ლარი–ადგილობრივი ბიუჯეტიდან,

14,1 ათასი ლარი–სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**საგვიჩიო**–17,3 ათასი ლარი (მათ შორის: 5,8 ათასი ლარი–ადგილობრივი ბიუჯეტიდან,

11,5 ათასი ლარი –სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**საჯიჯაო**–368,7 ათასი ლარი (მათ შორის: 306,2 ათასი ლარი–ადგილობრივი ბიუჯეტიდან,

62,5 ათასი ლარი–სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**ქარიატა**–30,7 ათასი ლარი (მათ შორის: 11,1 ათასი ლარი –ადგილობრივი ბიუჯეტიდან,

19,6 ათასი ლარი–სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**ქვემო ქვალონი**–77,6 ათასი ლარი (მათ შორის: 18,3 ათასი ლარი–ადგილობრივი ბიუჯეტიდან,

59,3 ათასი ლარი –სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**ყულევი**–10,4 ათასი ლარი (მათ შორის: 2,6 ათასი ლარი–ადგილობრივი ბიუჯეტიდან,

7,8 ათასი ლარი–სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**შავღელე**–53,8 ათასი ლარი (მათ შორის: 32,4 ათასი ლარი–ადგილობრივი ბიუჯეტიდან,

21,4 ათასი ლარი–სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**შუა ხორგა**–48,1 ათასი ლარი (მათ შორის: 15,4 ათასი ლარი –ადგილობრივი ბიუჯეტიდან,

32,8 ათასი ლარი–სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**ძველი ხიბულა**–23,7 ათასი ლარი (მათ შორის: 8,8 ათასი ლარი–ადგილობრივი ბიუჯეტიდან,

14,9 ათასი ლარი–სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**ჭალადიდი**–144,2 ათასი ლარი (მათ შორის: 95,4 ათასი ლარი–ადგილობრივი ბიუჯეტიდან,

48,8 ათასი ლარი–სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**ხამისკური**–52,9 ათასი ლარი (მათ შორის: 14,5 ათასი ლარი–ადგილობრივი ბიუჯეტიდან,

38,4 ათასი ლარი–სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

**ხეთა**–86,8 ათასი ლარი (მათ შორის: 15,2 ათასი ლარი–ადგილობრივი ბიუჯეტიდან,

71,6 ათასი ლარი–სახელმწიფო ბიუჯეტიდან)

განსახორციელებელ და განხორციელებულ სამუშაოებთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია ამ სამუშაოების მიმდინარეობაზე კონტროლი. ამ კუთხით, საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის მიერ, მისი სამუშაო გეგმითა და, დამატებით, საკრებულოს თავმჯდომარისგან მიღებული დავალებების შესაბამისად, არაერთხელ იქნა შესწავლილი, დათვალიერებული და გაანალიზებული მიმდინარე და დასრულებული კაპიტალური სამუშაოები. ერთ-ერთი მათგანია მუნიციპალიტეტის მასშტაბით გარეგანათების მდგომარეობის მონიტორინგი, რაც შპს „ხობი დასუფთავება და განათებასთან“ ერთად ხორციელდება. კომისიას სისტემატური ურთიერთობა აქვს ამ ორგანიზაციასთან და, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ წარმატებული პროექტის შენარჩუნებისა და მისი მუდმივად მწყობრში ყოფნის მიზნით, არაერთხელ იქნა წინადადებები, ინიციატივები და მითითებები წარდგენილი მათთვის. ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული ადგილობრივი გზების მოვლა-შენახვისა და რეაბილიტაციის, ნაპირსამაგრი სამუშაოებისა და მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვა კაპიტალური ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის მხრივ.

ცალკე უნდა გამოვყოთ მუნიციპალიტეტის მასშტაბით საზოგადოებრივი მომსახურების კუთხით გაწეული საქმიანობა, რომელიც კომუნალური მეურნეობის განახლებასა და განვითარებას შეეხება.

დღეს შპს „ხობი დასუფთავება–განათება“ აღჭურვილია თავისი უფლებამოსილების და საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ყველა ინვენტარით, რომლის საერთო ღირებულება 1,6 მილიონი ლარია.

> **„ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოები იგეგმება, რაც ინფრასტრუქტურის და, საერთოდ, ეკონომიკის განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა.“**

არანაკლებ მნიშვნელოვანია გამგეობის მიერ წარმოდგენილი შპს „ანაკლია პორტის“ წინადადების საფუძველზე 2010 წელს მიღებული გადაწყვეტილება ანაკლიის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე, რომელმაც უახლოეს წლებში საფუძველი უნდა დაუდოს გრანდიოზული ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას. ამ პროექტით, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოები იგეგმება, რაც ინფრასტრუქტურის და, საერთოდ, ეკონომიკის განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა. კერძოდ: „ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტებში საერთო სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის მშენებლობის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 20 ოქტომბრის 732 განკარგულების შესაბამისად, ანაკლიის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის მშენებლობის ფარგლებში, ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე დაგეგმილია ახალი საზღვაო ნავსადგურის, გათხევადებული გაზის ქარხნის, სატვირთო აეროპორტის, მისასვლელი ავტოსატრანსპორტო გზებისა და რკინიგზების, საავტომობილო და სარკინიგზო გადაზიდვების ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკული უზრუნველყოფის, საინჟინრო მომსახურების ობიექტებისა და 20-25 ათას მაცხოვრებელზე ახალი დასახლების მშენებლობა. დაგეგმილი პროექტი ჩვენი ქვეყნის მდგრადი სოციალ-ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს და მისი დანიშნულებაა დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, და პირიქით, ასევე, ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით, და პირიქით, ტვირთების უსაფრთხო და სწრაფი გადაზიდვების უზრუნველყოფა და მომსახურება. დამეთანხმებით, ამ პროექტს, არათუ რეგიონის, მთელი ქვეყნის მასშტაბით გარდა ეკონომიკური მნიშვნელობისა, სოციალური დატვირთვაც გააჩნია, ვინაიდან უახლოეს წლებში ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი უზრუნველყოფილი იქნება დამატებითი სამუშაო ადგილებით.

> **„ჩვენი მიზანია, რამდენიმე იურიდიული პირი, ეტაპობრივად, ნაწილობრივ თვითდაფინანსებაზე გადავიდეს. არსებობს იმის პოტენციალი, რომ მათ თავად უზრუნველყონ საზოგადოებისათვის მოთხოვნების შესაბამისი მომსახურების გაწევა.“**

## ხობის მუნიციპალიტეტი დღეს











საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს წარედგინა საქართველოს საპატრიარქოსთვის გადასაცემი მიწის ნაკვეთების ნახაზები, რომლის შემდგომაც, „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების“ საფუძველზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნატაძრალების, ტაძრებისა და ახალასაშენებელი ტაძრებისთვის გათვალისწინებული მიწის ნაკვეთები საპატრიარქოს საკუთრებაში გადავა. ამ კუთხით დღესაც აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს ფოთისა და ხობის ეპარქიასთან.

2011 წლის 6 ივლისს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით მოთხოვნილი მიწების უმრავლესობა უკვე გადმოეცა მუნიციპალიტეტს, ხოლო ნაწილი დარეგისტრირებულია სახელმწიფო საკუთრებად საპატრიარქოსთვის გადასაცემად.

თავისუფალი მიწების მოსახლეობისთვის თუ ინვესტორისთვის მიყიდვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად, რასაც სახელმწიფოს მხრიდან შე-

>>>>>>>>>> 7

5 <<<<<<<<<<

## დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება N152

**2012 წლის 30 მაისი ქ. ხობი**

**უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების შესახებ**

,,ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონისა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 30 მაისის N583 წერილის შესაბამისად ვბრძანებ:

1. მიღებულიქნეს უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების კომისიის წინადადება და გამგეობაში შემოსული მოქალაქეების განცხადებების საფუძველზე, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარებისთვის სოციალური პაკეტიდან გამოიყოს **თანხა 1210 (ათას ორას ათი)** ლარის ოდენობით.
2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას (გ. ღურწკაია) ბრძანების პირველი პუნქტის აღსრულების უზრუნველყოფა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თანახმად დანართისა.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. N192).

**საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე**

***დანართი***

***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 30 მაისის N152 ბრძანებისა***

| № | გვარი სახელი | მისამართი | თანხა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ლომაია ლიანა | ახალი ხიბულა | 100 | |
| 2 | კრილოვი ანა | თორსა-დღვაბა | 100 | |
| 3 | წურწუმია ლამზირა | თორსა-დღვაბა | 100 | |
| 4 | ფანგანი მარიამი | ხამისქური | 200 | |
| 5 | ფირცხელავა ივეტა | გურიფული | 60 | |
| 6 | კაკულია სვეტლანა | ხობი | 200 | |
| 7 | ზამბახიძე თამილა | ახალისოფელი | 150 | |
| 8 | გვასალია როლანდი | გურიფული | 100 | |
| 9 | ალანია მურმანი | ქვემო ქვალონი | 200 | |
| | | **ჯამი** | 1210 | |

**საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე**

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება N154

**2012 წლის 30მაისი ქ. ხობი**

**დედ-მამით ობოლი ბავშვების ფინანსური დახმარების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 30 მაისის N590 წერილის შესაბამისად ვბრძანებ:

1. მიღებულიქნეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის წინადადება და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური პირობებისა და საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის საფუძველზე, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით დედ-მამით ობოლი ბავშვების ფულადი დახმარებისთვის სოციალური პაკეტიდან გამოიყოს **400 (ოთხასი)** ლარი.
2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას (გ. ღურწკაია) ბრძანების პირველი პუნქტის აღსრულების უზრუნველყოფა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თანახმად დანართისა.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. N192).

**საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე**

***დანართი***

***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 30 მაისის N154 ბრძანებისა***

| № | გვარი სახელი | მეურვის გვარი, სახელი | მისამართი | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 1. | მაჭარაშვილი გიორგი | მაჭარაშვილი გურგენი | საგვიჩიო | 100 |
| 2 | სიჭინავა გიორგი | გვასალია ქოქოლი | საჯიჯაო | 100 |
| 3 | გაბუნია თამარი | აბშილავა თეა | ქვემო ქვალონი | 100 |
| 4 | მინჯორაია ნონა | შონია ქეთო | ხეთა | 100 |
| | | | **ჯამი** | 400 |

**საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე**

## ანგარიში

6 <<<<<<<<<<

საბამისი მხარდაჭერაც აქვს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით დახმარების სახით. ეს ყველაფერი, გარდა აგრარული მეურნეობის განვითარებისა, შემდგომ წლებში ადგილობრივ წარმოებასაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

ამ მხრივ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკვე გვაქვს მაგალითი და აღსანიშნავია, რომ იტალიური კომპანია „ფერეროს“ მიერ სოფელ ახალ ხიბულაში შესყიდულ 760 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე სერიოზული ინვესტიციები განხორციელდა ადგილობრივი სოფლის მეურნეობის გამოსაცოცხლებლად და გასავითარებლად. აღნიშნული მიწებიდან 400 ჰა-ზე მეტია უკვე დამუშავებული და გაშენდა თხილის პლანტაციები. დღეს, როდესაც ასეთი პრობლემურია მოსახლეობის დასაქმების საკითხი არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით, სოფელში მცხოვრები 600 კომლიდან უკვე დასაქმებულია 250-მდე მუშახელი.

„უკანასკნელ წლებში ადგილობრივი ბიუჯეტის მაჩვენებლები მერყეობს 7-8 მილიონი ლარის ფარგლებში, რაც 10 წლის წინანდელ მაჩვენებლებს 12-14-ჯერ აღემატება.“

სერიოზული გააქტიურება და გარდატეხაა საჭირო სოციალური კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური პროგრამების დიდი წილი სახელმწიფო მხარდაჭერით ხორციელდება, მუნიციპალიტეტს შესწევს ძალა დამატებითი ბერკეტების ამოქმედებისა. საკრებულომ სოციალურ საკითხთა კომისიის მეშვეობით არაერთხელ მოითხოვა და მიიღო ინფორმაცია აღმასრულებელი ორგანოდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეული სოციალური დახმარებების, ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ჯანდაცვის ობიექტების საქმიანობის შესახებ. გარდა უმწეოებზე პირდაპირი დახმარებებისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან არაერთხელ დაფინანსებულა გადახდისუუნარო მოსახლეობის კუთვნილი გადასახადები.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე 2 მილიონ ლარამდე ღირებულების სამუშაოები ჩატარდა.“

საკრებულოში დიდი ყურადღება ეთმობა ადამიანის უფლებების დაცვას და მათდამი თანადგომას. ამ კუთხით საკრებულოში მოქმედებს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია. არაერთ მთხოვნელს, დაინტერესებულ პირს თუ რიგით მოქალაქეს ჰქონია შეხება მისთვის პრობლემატურ და საინტერესო საკითხებზე. მოქალაქეთა ინტერესების დაცვისა თუ მათი პრობლემების შესასწავლად არაერთი კომისიური გასვლა განხორციელებულა სოციალურ საკითხთა კომისიასთან ერთად. განსაკუთრებული სამუშაოებია ასევე განხორციელებული მუნიციპალიტეტის მასშტაბით ცალკეულ დარგთა განვითარებისთვის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად, რისთვისაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ადგილობრივი ხელისუფლება ყველა სახის რესურსის ამოქმედებას ცდილობს და ადგილობრივი ბიუჯეტიდან აუცილებელ სახსრებსაც არ იშურებს. გასული წლების განმავლობაში საკრებულოს მიერ დაფუძნდა სხვადასხვა სახის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. დღეისათვის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებისა და საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები ახალი იურიდიული პირების შექმნის თაობაზე. საკრებულოს მიერ 2011 წელს შეიქმნა ა(ა)იპ-ები: „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი“, „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“, „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი კოლხეთი“ და „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“.

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“ დაფუძნების გადაწყვეტილება ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო მუნიციპალიტეტში პროფესიული სასწავლებლის შენარჩუნების მიზნით, რაც დაინტერესებულ პირებს პროფესიული გადამზადების საშუალებასაც მისცემს. ცენტრში სახელობო განათლებას იღებს და სხვადასხვა პროფესიას ეუფლება ათობით სტუდენტი. მე გთხოვთ ყველას, მიხვიდეთ და ნახოთ, როგორ აქტიურად მიმდინარეობს იქ მომზადებისა და პროფესიული გადამზადების


საკრებულოს სხდომათა დარბაზი. 2006 წ


საკრებულოს სხდომათა დარბაზი. 2011 წ

>>>>>>>>>> 8

## დოკუმენტი

### ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N17

2012 წლის 25 მაისი ქ. ხობი

**„ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 27 დეკემბრის №56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. გაიზარდოს ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები 1.7 ათასი ლარით, მათ შორის, 1.7 ათასი ლარით–შემოსავლების მუხლი ,,შემოსავლები მომსახურების გაწევიდან“.

2. შემცირდეს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში:

ა) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯების ასიგნებები 6.6 ათასი ლარით, მათ შორის,

ა.ა) 6.6 ათასი ლარით–,,კეთილმოწყობის ღონისძიებების“ ასიგნება, მათ შორის, 6.6 ათასი ლარი– მუხლი ,,არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება;

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ” ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ივლისის №5 დადგენილების შესაბამისად, შეტანილ იქნეს ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს, ღონისძიებებსა და პროგრამებს შორის განხორციელებული შემდეგი გადანაწილებები:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 27 აპრილის N250 ბრძანებით შ.პ.ს. ,,ხობის მოამბე“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 0.5 ათასი ლარით შემცირდა ,,საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის ,,შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“ ასიგნება და 0.5 ათასი ლარით გაიზარდა მუხლის ,,შრომის ანაზღაურება“ ასიგნება;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 1 მაისის N253 ბრძანებით შუა ხორგის თემში მდინარე ხობის მარცხენა სანაპიროზე ნაპირგამაგრების ობიექტის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 1.7 ათასი ლარით შემცირდა ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯების ასიგნება და 1.7 ლარი მიიმართა სანებართვო მოსაკრებლის ასიგნებაზე;

გ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 3 მაისის N257 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურებისათვის ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში შემცირდა 1.2 ათასი ლარით ადმინისტრაციული სამსახურის ასიგნებებში მუხლის ,,არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნება, 0.1 ათასი ლარით–საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ასიგნებებში ოფისის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა“”ასიგნება, 0.1 ათასი ლარით–ზედამხედველობის სამსახურის ასიგნებებში ,,ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,კავშირგაბმულობის ხარჯი“ ასიგნება, 0.1 ათასი ლარით –შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახურის ასიგნებებში ოფისის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა“ ასიგნება, 0.3 ათასი ლარით–სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის ასიგნებებში „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,კავშირგაბმულობის ხარჯი“ ასიგნება, 0.1 ათასი ლარით–სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის ასიგნებებში „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები“ ასიგნება და გაიზარდა ,,ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,კავშირგაბმულობის ხარჯი“ ასიგნება (ფიჭური მომსახურების ხარჯები) 1.2 ათასი ლარით–ადმინისტრაციული სამსახურის, 0.1 ათასი ლარით–საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, 0.1 ათასი ლარით–ზედამხედველობის სამსახურის, 0.1 ათასი ლარით–შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახურის, 0.3 ათასი ლარით–სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის, 0.1 ათასი ლარით - სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის;

დ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 7 მაისის N261 ბრძანებით გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურისათვის ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 0.5 ათასი ლარით შემცირდა ,,ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა“ ასიგნება და 0.5 ათასი ლარით გადიდდა „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები” ასიგნება;

ე) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 7 მაისის N262 ბრძანებით გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურისათვის ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 0.7 ათასი ლარით შემცირდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,შრომის ანაზღაურება” ასიგნება და 0.7 ათასი ლარი მიიმართა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,სოციალური უზრუნველყოფა“ ასიგნებაზე;

ვ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 7 მაისის

>>>>>>>>>> 8

## საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე გამგებელმა „სათნოების სახლის“ ბენეფიციარებს მიულოცა



საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგა ღურწკაიამ ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ბენეფიციარებს მიულოცა. „ეს ადამიანები ჩვენი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ და თითოეული ჩვენგანის, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლების, ისე რიგითი მოქალაქეების ვალია მათზე ყოველდღიური ზრუნვა. კიდევ ერთხელ გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს და გისურვებთ პირად ბედნიერებას, სტაბილურ, ჯანსაღ გარემოსა და მშვიდობას“- ბენეფიციარებთან საუბრის დასასრულს დასძინა გამგებელმა.

## ხობის მუნიციპალიტეტს გერმანელი მეცნიერი ჰელმუტ შნაიდერი ეწვია



ხობს ფოთისა და ხობის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე გრიგოლის მოწვევით გერმანელი მეცნიერი ჰელმუტ შნაიდერი და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი-პროფესორი თენგიზ ირემაძე ეწვივნენ. მეცნიერებმა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერეს კულტურის სამსახურში დაცული არქეოლოგიური მასალების ნიმუშები. გერმანელი მეცნიერი დაინტერესდა ძველკოლხური პერიოდის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებზე არსებული ორნამენტის სიმბოლიკით, აგრეთვე, მისი განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა ქვები, რომელზეც პიქტოგრამებია გამოსახული. სტუმრებმა დაათვალიერეს ძველკოლხური ნამოსახლარი „ტაბაკონას დიხაგუძუბა“ თორსა-ღვაბის თემში, წმინდა სოფიას ეკლესია პირველი მაისის თემში და ხობის სამონასტრო კომპლექსი.

## არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ ხობში საადვოკაციო შეხვედრები გამართა

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ ხობის მუნიციპალიტეტში ახორციელებს პროექტს „აქტიური საზოგადოება დემოკრატიის გარანტი“.

პროექტის ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში გაიმართა საადვოკაციო შეხვედრა, რომელსაც ორგანიზაციისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგა ღურწკაია ესწრებოდა. შეხვედრაზე გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელიც ძირითადად კოლხეთის დასახლებაში მცხოვრები დევნილების ყოფა-ცხოვრებას შეეხება, ასევე დაისვა გზების მოხრეშვის, წყლის რეაბილიტაციის, ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების საკითხი. შეხვედრაზე გამგებელმა ახალგაზრდებს გააცნო უახლოეს მომავალში მუნიციპალიტეტის მასშტაბით განსახორციელებელი გეგმები და პროექტები, ასევე, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ ჩატარებული და ჩასატარებელი სამუშაოები, რომელიც მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით სრულდება. პროექტის მიზანია მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოქალაქეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა. პროექტი ხორციელდება ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ (OSGF) მხარდაჭერით.

## ხობის მუნიციპალიტეტში მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები მიმდინარეობს



ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული მავნებლების „ოქროკუდასა“ და ამერიკული თეთრი პეპელას მატლების წინააღმდეგ გატარებული და გასატარებელი ღონისძიებების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, ხობის მუნიციპალიტეტს ეწვივნენ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ზურაბ ბეჟანიშვილი, სურსათის ეროვნული სააგენტოს ფიტოსანიტარიის დეპარტამენტის უფროსი ზურაბ ლიპარტია და სააგენტოს წარმომადგენელი ბორის სოსელია. სტუმრებმა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელთან გოგა ღურწკაიასთან, გამგებლის მოადგილე ბესიკ ნაჭყებიასთან და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, დაათვალიერეს ჭალადიდისა და ქარიატის თემებისა და სოფელ შავღელეს ტყის მიმდებარე ზოლები. „ხობის მუნიციპალიტეტში გავრცელებული მატლის ახალი სახეობის–„ოქროკუდას“ შეწამვლა ცხელი ნისლის ტექნოლოგიით, სპეციალური მანქანების საშუალებით მიმდინარეობს, რადგან ტყის მასივის ვერტმფრენით შეწამვლამ შესაძლოა გარკვეული უკუშედეგები გამოიწვიოს. პრობლემურ ზონებში, სადაც მატლის გავრცელების კერაა, გათვალისწინებულია ტყის მასივის ჩაკეტვა და მცენარეთა მანქანების საშუალებით შეწამვლა. გარდა ამისა სოფლებში დარიგდება სპეციალური ზურგსაკიდი აპარატები. დანადგარისთვის საჭირო საწვავით კი მოსახლეობას ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა უზრუნველყოფს“,–განაცხადა გოგა ღურწკაიამ.

შეწამვლითი სამუშაოები მუნიციპალიტეტის მასშტაბით გრძელდება და ივნისის ბოლოს დასრულდება.

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციები**

## ანგარიში

7 <<<<<<<<<<

პროცესი.

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ შექმნის მიზანი იყო მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოქალაქეთათვის მზრუნველობის უფრო ეფექტურად გაწევა. სათნოების სახლის მიზანია: სოციალურად დაუცველ პირთა ხელშეწყობა; სოციალურად დაუცველ პირთა საზოგადოებასთან ადაპტაციის მიზნით სპეციალური პროგრამების მომზადება და განხორციელება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა, მათზე სოციალური დახმარებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა შეღავათების დაწესების შესახებ წინადადებების მომზადება.

„ხობის მუნიციპალიტეტის სა-



ხიდი ჭანისწყალზე. 2011 წ.

ფეხბურთი კლუბ კოლხეთის“ ა(ა)იპის სახით შექმნა განაპირობა მუნიციპალიტეტში ფეხბურთის განვითარებისთვის ხელშეწყობის ახალმა მიდგომებმა. 2011 წლის დეკემბერში, როდესაც ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“ ჩამოვაყალიბეთ, გუნდი მერვე ადგილზე იმყოფებოდა. სწორი მენეჯმენტით, საქმისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულების შედეგად, მოკლე დროში გუნდმა დიდ წარმატებას მიაღწია და ის დღეს მეორე ადგილზე იმყოფება. მადლობა გუნდის მწვრთნელს ბესიკ შეროზიას და საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ადმინისტრაციას ამ შედეგებისათვის.

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“ დაფუძნდა მუნიციპალიტეტში ფეხბურთის ტრადიციების შენარჩუნებისა და ახალი თაობის დაოსტატების მიზნით.

საკრებულოს მიერ დაფუძნებულმა „განათლების ცენტრმა“ 2011 წელს 4 რესპუბლიკური შედეგი მოიპოვა და მძლეოსნობაში, კრივში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში და ჭიდაობა სამბოში რესპუბლიკურ პირველ ადგილს დაეუფლა. მათ შორის ნორჩი მძლეოსანი–გრიგოლ ახალაია საქართველოს ნორჩ მძლეოსანთა ნაკრების წევრი გახდა (ამ წუთებში ის ქ. სტამბულში საერთაშორისო ტურნირზე იცავს საქართველოს ღირსებას). ჭადრაკში 6 წლამდე და 10 წლამდე ნორჩ მოჭადრაკეებს შორის დიანა ლომაიამ და ლუკა შამუგიამ ევროპის ჩემპიონატის საგზურები მოიპოვეს, დიანა ლომაია მსოფლიო ჩემპიონატშიც დაიცავს საქართველოს ღირსებას.

„განათლების ცენტრის“ ბაზაზე გაიხსნა კრივის სკოლა. დარწმუნებული ვარ, ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები სპორტის ამ სახეობაშიც იტყვიან თავიანთ სათქმელს.

რაც შეეხება საერთაშორისო მასშტაბით მიღწეულ შედეგებს სპორტში, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში ხობელმა მანუჩარ ცხადაიამ ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა. მკლავჭიდელი გენადი კვიკვინია კი - ორივე მკლავით მკლავჭიდში ევროპის ევროპის ჩემპიონი გახდა.

„კულტურის ცენტრთან“ არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლები წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა ფესტივალებში, ხოლო საესტრადო ჟანრის მომღერალი ნინო გოთოშია მუსიკალური დაჯილდოვების ცერემონიალზე - „მეგა 2011“ ერთ-ერთი ნომინაციის გამარჯვებული გახდა.

**„საკრებულოსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ურთიერთობა აღმასრულებელ ორგანოსთან. საკრებულოს და გამგეობის კოორდინირებული საქმიანობა ძირითადი საფუძველია მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი სამუშაოების წარმატებით შესრულებისა.“**

ჯანდაცვის სფეროში გამორჩეული საქმიანობისათვის ხობელი ექიმი ირინე ბერაია, პრეზიდენტის ბრძანებულებით, ღირსების მედლით დაჯილდოვდა.

მადლობა მათ მუნიციპალიტეტის საამაყოდ მიღწეული ამ წარმატებებისათვის.

მადლობა განათლების, კულტურისა და ჯანდაცვის ცენტრებს მიღწეული შედეგებისათვის, დიდი მადლობა ყველა ცენტრის ადმინისტრაციას და თანამშრომლებს გაწეული საქმიანობისათვის.

ვფიქრობთ, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა ფარგლებში მაქსიმალურად არის გამოყენებული კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებები და მუნიციპალიტეტში ყველა სფეროს გამოსაცოცხლებლად და გასავითარებლად სერიოზული სამუშაოებია ჩატარებული, რაც, პირველ რიგში, საზოგადოების მოთხოვნებს პასუხობს. ამ დროისთვის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ერთეულში 10 იურიდიული პირი ფუნქციონირებს წარმატებულად. თვალი გადავავლოთ შპს-ებისა და იურიდიული პირების დასაფინანსებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების დინამიკას წლების მიხედვით:



შ.პ.ს. „შარაგზამშენი პირველი“

**1. ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“:**

2007 წელი–121,5 ათასი ლარი
2008 წელი–124,2 ათასი ლარი
2009 წელი–254,2 ათასი ლარი
2010 წელი–291,0 ათასი ლარი
2011 წელი–327,2 ათასი ლარი
2012 წელი–305,1 ათასი ლარი

**2. ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“:**

2007 წელი–547,8 ათასი ლარი
2008 წელი–321,2 ათასი ლარი
2009 წელი–569,5 ათასი ლარი
2010 წელი–421,7 ათასი ლარი
2011 წელი–494,5 ათასი ლარი
2012 წელი–460,0 ათასი ლარი

**3. ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრი“:**

2007 წელი–115,7 ათასი ლარი
2008 წელი–103,4 ათასი ლარი
2009 წელი–116,5 ათასი ლარი
2010 წელი–131,4 ათასი ლარი
2011 წელი–129,8 ათასი ლარი
2012 წელი–129,9 ათასი ლარი



2008 წლის 8 აგვისტოს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი

**4. ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“:**

2007 წელ–717,6 ათასი ლარი
2008 წელი–820,4 ათასი ლარი
2009 წელი–898.8 ათასი ლარი
2010 წელი–1156,7 ათასი ლარი
2011 წელი–691,3 ათასი ლარი
2012 წელი–716,8 ათასი ლარი

**5. შპს „ხობის მოამბე“:**

2007 წელი–38,8 ათასი ლარი
2008 წელი–35,6 ათასი ლარი
2009 წელი–38,9 ათასი ლარი
2010 წელი–39,4 ათასი ლარი
2011 წელი–40,0 ათასი ლარი
2012 წელი–45,5 ათასი ლარი

**6. შპს „ხობი დასუფთავება და განათება“:**

2008 წელი–159,8 ათასი ლარი
2009 წელი–200,0 ათასი ლარი
2010 წელი–216,0 ათასი ლარი
2011 წელი–380,5 ათასი ლარი
2012 წელი–460,5 ათასი ლარი

**7. ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი“:**

2011 წელი–56,3 ათასი ლარი
2012 წელი–96,4 ათასი ლარი

8. ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი კოლხეთი“:

2012 წელი –315,6 ათასი ლარი

**9. ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“:**

2012 წელი–84,5 ათასი ლარი

10. ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“:

2012 წელ–86,8 ათასი ლარი

უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული პირებისთვის სოლიდური დაფინანსებაა გაღებული და შესაბამისი შედეგებიც სახეზეა. ჩვენი მიზანია, რამდენიმე იურიდიული პირი, ეტაპობრივად, ნაწილობრივ თვითდაფინანსებაზე გადავიდეს. არსებობს იმის პოტენციალი, რომ მათ თავად უზრუნველყონ საზოგადოებისათვის მოთხოვნების შესაბამისი მომსახურების გაწევა.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით ქუჩების სახელწოდებათა დადგენისა და ქუჩების ნუმერაციის მოწესრიგების მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჯერ კიდევ 2008 წლის სექტემბერში შეიქმნა სახელდებისა და სიმბოლოების საკითხთა

>>>>>>>>>> 9

## დოკუმენტი

7 <<<<<<<<<<

N263 ბრძანებით ურთის მთაზე რადიომონიტორინგის სტაციონალურ სადგურთან მისასვლელი გზის ორმული შეკეთების სამუშაოებისათვის ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებაში 1.0 ათასი ლარით შემცირდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ასიგნება და 0.4 ათასი ლარი მიიმართა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის ხარჯების ასიგნებაზე, 0.6 ათასი ლარი–ობიექტის ექსპერტიზის ხარჯების ასიგნებაზე;

ზ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 7 მაისი N264 ბრძანებით გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურისათვის ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 0.2 ათასი ლარით შემცირდა ,,ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,კარტრიჯის შეძენა-დატუმბვა“ ასიგნება, 0.1 ათასი ლარით–,,ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა“ ასიგნება და 0.3 ათასი ლარი მიიმართა ,,ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,მობილური ტელეფონი“ ასიგნებაზე;

თ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 8 მაისის N267 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ,,სპორტული და კულტურული ღონისძიებებისათვის“ გამოყოფილ ასიგნებებში 4.3 ათასი ლარით შემცირდა სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯების ,,საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის ,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება და 4.3 ათასი ლარით გაიზარდა ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსების ხარჯების ,,საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის ,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ ასიგნება;

ი) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 11 მაისის N294 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ,,სპორტული ღონისძიებებისათვის“ გამოყოფილ ასიგნებებში 0.9 ათასი ლარით შემცირდა ,,სპორტული ღონისძიებებისათვის“ გამოყოფილ ასიგნებებში ,,შემხვედრი ღონისძიებების ხარჯები“”და 0.9 ათასი ლარი მიმართულ იქნა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თასზე შიდა რაიონული მინი-ფეხბურთის ტურნირის ჩატარების ხარჯების ასიგნებაზე.

კ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 21 მაისის N297 ბრძანებით შ.პ.ს. ,,ხობი დასუფთავება და განათება“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 3.0 ათასი ლარით შემცირდა ,,ოფისის ხარჯების“”ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,კომუნალური ხარჯი“ ასიგნება და 3.0 ათასი ლარით გადიდდა ,,საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის ,,ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“ ასიგნება.

ლ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 21 მაისის N298 ბრძანებით შ.პ.ს. ,,ხობი დასუფთავება და განათება“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 0.5 ათასი ლარით შემცირდა ,,საქონელი და მომსახურებას“ მუხლის ,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ ასიგნებებში სანიაღვრე არხების ამოწმენდის ხარჯები და 0.5 ათასი ლარი მიიმართა ,,საქონელი და მომსახურებას“ მუხლის ,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ ასიგნებებში დაქირავებული სპეცმანქანის მომსახურების ხარჯებზე.

მ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 21 მაისის N299 ბრძანებით ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 4.8 ათასი ლარით შემცირდა ,,საქონელი და მომსახურებას“ მუხლში ,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ საეკლესიო-სახალხო დღესასწაულის–,,ცოტნეობა 2012“ ღონისძიების ასიგნება და 4.8 ათასი ლარი მიიმართა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ღონისძიების ასიგნებაზე.

ნ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 22 მაისის N302 ბრძანებით მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში შემცირდა 5.5 ათასი ლარით გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მუხლის „შრომის ანაზღაურება“ ასიგნება და გადიდდა 3.1 ათასი ლარით გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მუხლის ,,შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“ ასიგნება, 2.4 ათასი ლარით–ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების მუხლის ,,შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“ ასიგნება.

ო) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 22 მაისის N303 ბრძანებით მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში შემცირდა 11.0 ათასი ლარით გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მუხლის ,,არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნება, 0.5 ათასი ლარით–გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახურის მუხლის ,,არაფინასური აქტივების ზრდა“ ასიგნება და გადიდდა 4.3 ათასი ლარით გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მუხლის ,,ოფისის ხარჯები“ ასიგნება, 6.8 ათასი ლარით - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მუხლის „არაფინასური აქტივების ზრდა“ ასიგნება, 0.4 ათასი ლარით–გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მუხლის ,,ოფისის ხარჯები“ ასიგნება.

პ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 22 მაისის N304 ბრძანებით მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში შემცირდა 4.3 ათასი ლარით გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მუხლის ,,შრომის ანაზღაურება“ ასიგნება, 0.3 ათასი ლარით–გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნება და გადიდდა 0.3 ათასი ლარით გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მუხლის „შრომის ანაზღაურება“ ასიგნება, 4.3 ათასი ლარით–გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მუხლის „შრომის ანაზღაურება“ ასიგნება.

ჟ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 22 მაისის N305 ბრძანებით ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯებისათვის ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 3.7 ათასი ლარით შემცირდა ,,წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“-ს მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნება და 0.2 ათასი ლარით გადიდდა „გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნება, 3.5 ათასი ლარით - ,,კეთილმოწყობის ღონისძიებები“-ს მუხლის ,,არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნება.

4. ბიუჯეტის შემოსავლების ზრდით მიღებული 1.7 ათასი ლარი და გამოთავისუფლებული ასიგნებები–6.6 ათასი ლარი, სულ–8.3 ათასი ლარი მიიმართოს შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

ა) აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ასიგნებებზე 4.6 ათასი ლარი, კერძოდ:

4.6 ათასი ლარი–გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ასიგნებაზე, აქედან: 4.6 ათასი ლარი ,,საქონელი და მომსახურება’’-ს მუხლის ,,ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“ ასიგნება;

ბ) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯების ასიგნებებზე - 1.7 ათასი ლარი, კერძოდ:

1.7 ათასი ლარი–შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათება“-ს სუბსიდიის ასიგნებაზე;

გ) სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხარჯების ასიგნებაზე–2.0 ათასი ლარი, კერძოდ:

2.0 ათასი ლარი–ორგანიზაციული კოდი ,,ძეგლთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის დაფინანსება“-ს

>>>>>>>>>> 9

## ანგარიში

8 <<<<<<<<<<

შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი, ხოლო 2009 წლის სექტემბერში–ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელთა მიერ წარმოებული შრომატევადი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მნიშვნელოვანი და დიდი მოცულობის მასალები იქნა დაგროვილი, რომელმაც ერთგვარი წინაპირობა შექმნა მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქუჩებისთვის სახელწოდებების მისანიჭებლად 2011 წელს მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ამ მხრივ მუშაობა 2011 წელს დაიწყო და საანგარიშო წლის განმავლობაში სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ განხორციელდა სოფლების–პირველი გურიფულის, მეორე გურიფულის, პირველი ხორგის, პატარა ფოთისა და ყულევის დამისამართება.

საკრებულოს და მისი კომისიების მიერ განხორციელებული სამუშაოებიდან, დასასრულს, ასევე, მინდა გამოვყო მუნიციპალიტეტის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი–მუნიციპალიტეტის სიმბოლოების განხილვა და ხობის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის დამტკიცება. მართალია, იგი 2010 წლის დასასრულს დამტკიცდა, მაგრამ 2011 წლიდან თვითმმართველობა მუშაობას შეუდგა ახალი სიმბოლოების გამოყენებით. გასულ წლებში, წინა მოწვევის საკრებულოს ფუნქციონირებისას, გარკვეული სამუშაოები იქნა ჩატარებული თვითმმართველი ერთეულის სიმბოლიკის შესამუშავებლად და ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები წარმოებდა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან. საკრებულოს მიერ მოძიებულ იქნა სხვადასხვა ისტორიული მასალები, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა მუნიციპალიტეტის სიმბოლოების შექმნის დროს. საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან კონსულტაციების საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის გერბზე და დროშაზე მარიამ ღვთისმშობლის კვართის გამოსახვის თაობაზე.



2011 წ. წარმატებული ნორჩი მოჭადრაკეები

გარდა ძირითადი საქმიანობისა, განსახილველ საკითხებზე დასკვნების წინასწარ მომზადებისა, კანონმდებლობითა და დებულებებით, საკრებულოს კომისიების უმთავრესი ფუნქცია არის მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისთვის ხელშეწყობა და გადაწყვეტილებათა შესრულების პროცესში შესაბამისი სტუქტურების და თანამდებობის პირთა კონტროლი. კონტროლის მექანიზმები გამოიყენებოდა აღმასრულებელი ორგანოს, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და დაფუძნებული იურიდიული პირების მიმართ.

თვითმმართველობის ორგანოთა მუშაობის გამჭვირვალობის მიზნით, გასული წლების მსგავსად, მოწვეული აუდიტის მიერ განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2010 წლის საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმება, რომლის ანგარიში განხილულ იქნა საკრებულოს სხდომაზე და საჯარო განხილვისთვის ადგილობრივ პრესაშიც გამოქვეყნდა. ანალოგიური ღონისძიება განხორციელდება წელსაც 2011 წლის შედეგებთან დაკავშირებით, რაც კანონმდებლობის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს და ანგარიში განსახილველად საკრებულოს უახლოეს თვეებში წარედგინება.

საკრებულოს კომისიებს, ფრაქციებს და მთლიანად საკრებულოს, უფლებამოსილების სრულყოფილად წარმართვისა და მათი საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით ემსახურება ახალგაზრდა, ენერგიული და კომპეტენტური კადრებით საკრებულოს აპარატი, რომელიც აქტიურად არის ჩართული საკრებულოს მუშაობაში და წარმართავს ერთიან საქმისწარმოებას, უზრუნველყოფს საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტას და ტექნიკურ მომსახურებას. უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო წელს საკრებულოს თავმჯდომარესთან მიღებაზე აღირიცხა 1724 მოქალაქე, დარეგისტრირდა 2367 კორესპონდენცია, რომელთაგან 2283 წერილზე პასუხი გაცემულია და კონტროლიდან არის მოხსნილი, დანარჩენი წერილები კი განხილვის პროცესშია. 2011 წელს საკრებულოში შემოვიდა და საკრებულოდან სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში გაიგზავნა 1072 კორესპონდენცია.



„სოფნეობა“ 2011

**„თითოეული ჩვენგანი, შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად ვილვწოდით მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისათვის; გვსურდა, უფრო ეფექტურად გვემართა არსებული რესურსები, გამოგვევლინა ახალი და გამოგვეყენებინა მუნიციპალიტეტის სასიკეთოდ.“**

უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დასაქმებულთა შორის გენდერულ ბალანსს. საკრებულოს 30 წევრიდან 5 ქალია, აქედან 1 საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეა, ხოლო საკრებულოს აპარატში დასაქმებულია 6 ქალი.

საკრებულოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო და რჩება ეკლესიასთან ურთიერთობა. საერო და სასულიერო ხელისუფლების თანამშრომლობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ჩვენი ქვეყნის უკეთეს მომავალს. საკრებულო, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლთან საქმიანი ურთიერთობით, ხელს უწყობდა ეკლესია - მონასტრების აღდგენასა თუ აშენებას, საგამომცემლო საქმიანობის წარმართვას, საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზებას. ჩვენი სულის ერთიანობის განმტკიცებისათვის, მეუფე გრიგოლის ლოცვაკურთხევით, საკრებულოს მიერ მრავალი პროექტი განხორციელდა და ეს პროცესი მუდმივი იქნება.



26 მაისი, 2011 წ.

საქმიანი ურთიერთობები გვაქვს ჩამოყალიბებული სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან და როგორც გასულ წლებში, ახლაც ვთანამშრომლობთ ისეთ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ურბანული ინსტიტუტი, ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაცია, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება, ადგილობრივ თვითმმართველობათა მომსახურების ასოციაცია, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“, „სამართლიანი არჩევნები“ და სხვა.

საკრებულოსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ურთიერთობა აღმასრულებელ ორგანოსთან. საკრებულოს და გამგეობის კოორდინირებული საქმიანობა ძირითადი საფუძველია მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი სამუშაოების წარმატებით შესრულებისა. წარმოდგენილ ანგარიშში არაერთხელ გაესვა ხაზი, რომ საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საკმაოდ დიდი ნაწილი გამგეობის მიერ იყო ინიცირებული. საკრებულოს მიერ სისტემატურად განიხილებოდა გამგეობის მიერ მოწოდებული პროექტები თუ წინადადებები. შემოსული პროექტებიდან ყველაზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო შემოთავაზებული წინადადებები აქტიურად განიხილებოდა კომისიების და ბიუროს მიერ. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სხვადასხვა ძირეულ საკითხზე.

შესამუშავებელია თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული მოწყობის ძირითადი პრინციპები; მოსაწესრიგებელი და დასასრულებელია ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის საკითხი; დასადგენია მიწათსარგებლობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, სასაფლაოების მოვლა-პატრონობის, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობისა და ქალაქში ავტომანქანების პარკირების ადგილების დაგეგმვის საკითხი; შესამუშავებელია და განსასაზღვრი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეკრებების, მიტინგების და მანიფესტაციების ჩატარების მარეგულირებელი ნორმები; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, გარე რეკლამის, სხვა სახის ეკონომიკური მიმართულების მარეგულირებელი წესები.

სერიოზული ყურადღებაა გასამახვილებელი მუნიციპალიტეტში, და პირველ რიგში ქალაქში, მიმზიდველი გარემოს შესაქმნელად, რაც ეტაპობრივად განვითარებადი ინფრასტრუქტურის თანმდევი პროცესი უნდა გახდეს. უკანასკნელ წლებში საფუძველი ჩაეყარა სკვერებისა და გა-

>>>>>>>>>> 10

## დოკუმენტი

8 <<<<<<<<<<

მუხლის „სუბსიდიები“ ასიგნებაზე;

5. ამ დადგენილების პირველი-მე-4 პუნქტებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, „ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 27 დეკემბრის №56 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი, 120103033, 04.01.2012 წ. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.106.016049) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

I. დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი თანახმად №1 დანართისა:

ა) ბიუჯეტის შემოსავლები–7691.8 ათასი ლარით (აქედან: გადასახადები 5863.8 ათასი ლარი; გრანტები–1381.3 ათასი ლარი; სხვა შემოსავლები–446.7 ათასი ლარი);

ბ) ბიუჯეტის ხარჯები–5767.2 ათასი ლარით (აქედან: შრომის ანაზღაურება–1577.7 ათასი ლარი; საქონელი და მომსახურება–985.5 ათასი ლარი; პროცენტი–185.7 ათასი ლარი; სუბსიდიები–2689.6 ათასი ლარი; სოციალური უზრუნველყოფა–328.7 ათასი ლარი);

გ) საოპერაციო სალდო–1924.6 ათასი ლარით;

დ) არაფინასური აქტივების ცვლილება–2243.7 ათასი ლარით;

ე) მთლიანი სალდო–319.1 ათასი ლარით;

ვ) ფინასური აქტივების ცვლილება–525.9 ათასი ლარით.“;

II. დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანახმად №2 დანართისა, მათ შორის:

ა) შემოსულობები–7935.8 ათასი ლარით (აქედან: შემოსავლები– 7691.8 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების კლება–244,0 ათასი ლარი);

ბ) გადასახდელები–8461.7 ათასი ლარით (აქედან: ხარჯები–5767.2 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა–2487.7 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება–206.8 ათასი ლარი);

გ) ნაშთის ცვლილება–525.9 ათასი ლარით“;

III. დადგენილების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს თანახმად №5 დანართისა, მათ შორის:

ა) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 2453.6 ათასი ლარით;

ბ) თავდაცვა–97,4 ათასი ლარით;

გ) საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 560.5 ათასი ლარით;

დ) ეკონომიკური საქმიანობა–890.0 ათასი ლარით;

ე) გარემოს დაცვა–779.9 ათასი ლარით;

ვ) საბინაო კომუნალური მეურნეობა–960.6 ათასი ლარით;

ზ) ჯანმრთელობის დაცვა–129,9 ათასი ლარით;

თ) დასვენება, კულტურა და რელიგია–881.3 ათასი ლარით;

ი) განათლება–1290.0 ათასი ლარით;

კ) სოციალური დაცვა - 418.5 ათასი ლარით.“;

IV. დადგენილების დანართი N1 ჩამოყალიბდეს თანახმად ამ დადგენილების პირველი დანართისა;

ა) დადგენილების დანართი N2 ჩამოყალიბდეს თანახმად ამ დადგენილების მე-2 დანართისა;

ბ) დადგენილების დანართი N3 ჩამოყალიბდეს თანახმად ამ დადგენილების მე-3 დანართისა;

გ) დადგენილების დანართი N4 ჩამოყალიბდეს თანახმად ამ დადგენილების მე-4 დანართისა;

დ) დადგენილების დანართი N5 ჩამოყალიბდეს თანახმად ამ დადგენილების მე-5 დანართისა.

5. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე**

*დანართი 1*

*ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 27 დეკემბრის N56 დადგენილებისა*

***ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი***

| დასახელება | 2011 წლის გეგმა | 2012 წლის გეგმა |
|---|---|---|
| *შემოსავლები* | *7 188,2* | *7 691,8* |
| გადასახადები | 5 180,9 | 5 863,8 |
| გრანტები | 1 482,9 | 1 381,3 |
| სხვა შემოსავლები | 524,4 | 446,7 |
| *ხარჯები* | *5055,6* | *5767,2* |
| შრომის ანაზღაურება | 1 324,8 | 1 577,7 |
| საქონელი და მომსახურება | 986,4 | 985,5 |
| პროცენტი | 85,0 | 185,7 |
| სუბსიდიები | 2 353,3 | 2 689,6 |
| გრანტები | 0,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 306,1 | 328,7 |
| სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| *საოპერაციო სალდო* | *2 132,6* | *1 924,6* |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **2 393,1** | **2 243,7** |
| ზრდა | 2 493,1 | 2 487,7 |
| კლება | 100,0 | 244,0 |
| *მთლიანი სალდო* | *-260,5* | *-319,1* |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **-301,8** | **-525,9** |
| ზრდა | 76,2 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 76,2 | |
| სესხები | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | | |
| კლება | 378,0 | 525,9 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 378,0 | 525,9 |
| სესხები | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0,0 | 0,0 |
| *ვალდებულებების ცვლილება* | *-41,3* | *-206,8* |
| ზრდა | 0,0 | 0,0 |
| საგარეო | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0,0 | 0,0 |
| კლება | 41,3 | 206,8 |
| საგარეო | | |
| საშინაო | 41,3 | 206,8 |
| *ბალანსი* | *0,0* | *0,0* |

**საკრებულოს თავმჯდომარე: მამუკა ჭოხონელიძე**

დანართი 2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 27 დეკემბრის N56 დადგენილებისა

**ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

| დასახელება | 2011 წლის გეგმა | 2012 წლის გეგმა |
|---|---|---|
| *შემოსულობები* | *7 288,2* | *7 935,8* |
| შემოსავლები | 7 188,2 | 7 691,8 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 100,0 | 244,0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| *გადასახდელები* | *7 590,0* | *8 461,7* |
| ხარჯები | 5 055,6 | 5 767,2 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 2 493,1 | 2 487,7 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების კლება | 41,3 | 206,8 |
| *ნაშთის ცვლილება* | *-301,8* | *-525,9* |

**საკრებულოს თავმჯდომარე: მამუკა ჭოხონელიძე**

>>>>>>>>>> 11

## ანგარიში

9 <<<<<<<<<<

ნაშენიანებული ტერიტორიების გამწვანებასა და დეკორატიული მცენარეებით გალამაზებას, რამაც კიდევ უფრო ფართო მასშტაბები უნდა მიიღოს. სავსებით შესაძლებელია, სწორად დაგეგმარების შემთხვევაში ქალაქის ცენტრში მოეწყოს თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი მოედანი შესაფერისი სკვერებითა და ინფრასტრუქტურით, რაც ქალაქის სავიზიტო ბარათიც იქნება და არამარტო ადგილობრივი მოსახლეობისთვის - დამსვენებლებისა და ტურისტებისთვისაც მიმზიდველი გახდება. ქალაქში მიმზიდველი გარემოს შექმნის მიზნით დაგეგმილი გვაქვს, შევიმუშავოთ ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმა. უახლოეს პერიოდში ძირეულად უნდა შეიცვალოს ქალაქის იერ-სახე. ვფიქრობთ, ეს საკითხი თითოეული თგვენგანისაგან იქნება მხარდაჭერილი.

ნებართვის გაცემის საფუძველი: *ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის ––––––––––––––– ბრძანება N*

მოწმობის მე-2 გვერდი:

სანებართვო პირობები:––––––––––––––––

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

## დოკუმენტი

სანებართვო მოწმობის შევსებაზე პასუხისმგებელი პირი:------------------------------------------

სანებართვო მოწმობაზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირი: ------------------------------

***(სახელი, გვარი)***

---------------------------------------------

***(თანამდებობა)***

ბ. ა.

------------------------

----------- ***(ხელმოწერა)***

დამკვეთი: ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა

შემსრულებელი:

სფს-ს რეგისტრაციის N

***საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე***

*დანართი 3*

*ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს*

*2012 წლის 25 მაისის N18 დადგენილებისა*

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური**

**აქტი N**

**გამოსაყენებლად უვარგისი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოწმობის ფორმების ჩამოწერის შესახებ**

2012 წლის -----------------------------

| N | საქმეთა დასახელება | რაოდენობა | ფორმის ექსკლუზიური ნომრები |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

ხელმოწერით ვადასტურებთ უვარგისი სანებართვო მოწმობების ჩამოწერის სისწორეს:

კომისიის თავმჯდომარე:

***( სახელი, გვარი)***

____________

***(ხელმოწერა)––––––––––––***

კომისიის წევრები: ------------------------ ***(სახელი, გვარი)***

____________

***(ხელმოწერა)–––––––––––––––***

---------------------------------------------

***სახელი, გვარი)*** ____________

***(ხელმოწერა)–––––––––––––***

ფორმების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე

პასუხისმგებელი პირი: ---------------------

***სახელი, გვარი)***

____________

***(ხელმოწერა)–––––––––––––***

***საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე***

დანართი 4

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2012 წლის 25 მაისის N18 დადგენილებისა

**მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოწმობის ფორმების აღრიცხვის ჟურნალი**

| № | სანებართვო მოწმობის № | ბრძანების № და თარიღი | სანებართვო მოწმობის გაცემის თარიღი | ნებართვის ვადა | ნებართვის მფლობელის დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები | ნებართვის მფლობელის მისამართი | ნებართვის მფლობელის ხელმოწერა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | |

**საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე**

რებული მანქანების ტექნიკური სერვისის სადგურებში და სარემონტო საწარმოებში, დილერული მომსახურების პუნქტებში. ამ ჯგუფის მსმენელები საწარმოო პრაქტიკას გადიან ხობის ფერმერთა მომსახურების ცენტრსა და შპს „შარაგზამშენ პირველში".

**უცხო ენა (ინგლისური)–**ჯგუფი გაიხსნა საზოგადოებრივი მოთხოვნით და მისი დაკვეთით. იგი მიზნად ისახავს საოფისე და საკომუნიკაციო დონეზე ინგლისური ენის დაუფლებას. სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს სამ თვეს. დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი. ამჟამად სწავლობს 12 მსმენელი.

**მდივან-რეფერენტი–**განეკუთვნება მენეჯმენტის დარგობრივ სფეროს და ორიენტირებულია ადმინისტრაციული პროცედურის წარმოებაზე. კურსის ხანგრძლივობაა სამი თვე, დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი. სწავლობს 11 მსმენელი. აქ ისწავლება საქართველოში მოქმედი კანონის შესაბამისად საოფისე დოკუმენტების შედგენა-მოწესრიგება, დაარქივება, ბარათების, წერილების შედგენა, მათი რედაქტირება და გაგზავნა შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყ ენებით.

**„ბც" კატეგორიის მძღოლი–**კურსის ხანგრძლივობაა სამი თვე. სწავლება თვითდაფინანსებით ხორციელდება, სრული კურსის საფასურია 100 ლარი. ამ ჯგუფს გააჩნია კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორია, სათანადო ტაბულები და ცხრილები, სურათები, სქემები ავტომობილების აგებულებაზე და ექსპლოატაციაზე. მის მფლობელობაში ავტომანქანა „ოპელი", სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიებით.

**პერსონალური კომპიუტერის მომხმარებელ-ოპერატორი–**სწავლების ვადა სამი თვეა, თვითდაფინანსებით. სწავლის ღირებულებაა 100 ლარი. შეისწავლება თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები.

**ქალისა და მამაკაცის სტილისტი–**სასწავლო კურსის ხანგრძლივობაა სამი თვე. დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი. ეს სპეციალობა მომსახურების სფეროს ერთ-ერთი დარგია, რომელიც დღეს მოთხოვნადია. ამ ჯგუფს გააჩნია კარგად მოწყობილი ლაბორატორია-სალონი ხუთ პერსონალზე, სადაც მსმენელები ეუფლებიან თმის მოვლის თანამედროვე მეთოდებს. აქტიური კურსდამთავრებულები მუშაობენ არა მარტო ხობის, არამედ სენაკის, ფოთის, ზუგდიდის, აბაშის სილამაზის სალონებში სტილისტებად.

სასწავლო ცენტრის ერთ-ერთი მიღწევაა ალიანსის შექმნა სხვა კომპანიებთან, რომელთა გარეშეც შეუძლებელია მისი ზრდა. თუ სასწავლო ცენტრს სჭირდება მარკეტინგული დახმარება და გამოჩენა შრომის ბაზარზე, იგი პარტნიორად ირჩევს მსხვილ ორგანიზაციას, რომელსაც არსებობის დიდი ხნის ისტორია აქვს და შეუძლია დაეხმაროს ცენტრს სიტუაციის სწრაფად გათვითცნობიერებაში. კონკრეტულად, ცენტრი ამ კუთხით თანამშრომლობს შავი ზღვის ყულევის ტერმინალის ადმინისტრაციასთან. გარდა ამისა, ეს პროექტი ითვალისწინებს პარტნიორი კომპანიის მონაწილეობას ცენტრის საქმიანობაში, კერძოდ–სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის კომპანიის ბაზაში განხორციელებას. ამ მიზნით ცენტრის ადმინისტრაციას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება შპს. „შარაგზამშენი პირველის" ადმინისტრაციასთან.

სასწავლო ცენტრი გეგმავს აქვს თანამშრომლობას შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან „განათლება დემოკრატიისათვის" ნორვეგიის დევნილთა საბჭოს ორგანიზაცია, დანიის დევნილთა საბჭოსთან, გაეროს განვითარების პროგრამასთან, ევრაზიის განვითარების ფონდთან „SHF", „USAID„ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსულტაციისა და დასაქმების ცენტრთან.

## პროფესიული განათლების ცენტრის დღევანდელობა და მომავალი



მომავალში სასწავლო ცენტრი მიზნად ისახავს შემდგომი განვითარების მიზნით გაიაროს ავტორიზაცია საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, რომელიც სამი ძირითადი კომპონენტით ენიჭებათ, ესაა–საგანმანათლებლო პროგრამები, ადამიანური რესურსები და მატერიალური რესურსები. ასევე ცენტრში იგეგმება ახალი სპეციალობების გადამზადების პროგრამები, როგორიცაა „მზარეული", „ქართული ფარდაგი-გობელენი?" და „დიზაინერ–მოდელიორი".

წერილის დასასრულს უნდა აღვნიშნო მასწავლებელთა საქმისადმი სიყვარული, პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც კოლექტივის თითოეულ წევრს გააჩნია, ამ სასწავლებლის თითოეული წევრი გამორჩეული და დასამახსოვრებელია, თავისი ლამაზი და შინაარსით აღსავსე ყოველდღიურობით, მსმენელებსა და მასწავლებლებს შორის სუფევს მშვიდი და ჰარმონიული ურთიერთობები, რომელიც მათი მუშაობის შედეგებზეც აისახება და რომელსაც ხელმძღვანელობს ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ქალბატონი **ნოზანა თათარიშვილი**. **დარეჯან ცხვიტავა, ნინო ნარსია, ხატია გაბრავა, მალხაზ ჩიტაია, რევაზ ყალიჩავა, ვენერა ზაქარაია, იგორ გადელია, რუსუდან ბუკია, ლელა კეკუსანძე, ეკა ბასილაია, მაია ფარულავა**, ბად**რი კვიკვინია**–ეს ის ადამიანებია, რომლებიც დიდი რუდუნებით, საქმის კეთების განწყობით და სასწავლებლის შემდგომი წარმატებებისათვის მუშაობენ და მოგმართავენ თქვენ „იჩქარე, შემდეგი იქნები შენ!"

**P.S. საკრებულოს თავმჯდომარისა და სხვა სტუმრების ყოფნას დაემთხვევა პროფესიული სწავლების ცენტრის კურსდამთავრებულთათვის სათანადო სერთიფიკატების გადაცემა, რომელიც საზეიმო ვითარებაში გაიმართა და რომლის გადაცემაში სტუმრებმაც მიიღეს მონაწილეობა.**

***მანანა შულაია***

## ო სოფელი



*ჭალადიდი ხობის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი დიდი თემია. იგი მდინარე რიონის ვრცელ და დიდ ჭალებშია განთავსებული. მასში შედის სოფლები: საჭოჭუო, სალვამიჩაო, საქორქიო და საბაჟო. აქ ძირითად მოსახლეობასთან ერთად 50-იან წლებში იმერეთიდან, რაჭიდან და აჭარიდან ჩამოსახლებულები ცხოვრობენ, თემში სულ 960 კომლია 2719 მოსახლით.*

*ჭალადიდი დღითიდღე ლამაზდება. აქვთ ახალი სტანდარტებით აშენებული ადმინისტრაციული სახლის მინებიანი შენობა, სკოლა, ბაღი. წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია, რაც სულიერების დიდი გამოხატულებაა, იგი მორწმუნეთა ნამდვილი სავანეა. სოფელში არის შესანიშნავი მინისტადიონი, 24 საათიანი ელექტრომომარაგება, მაგრამ ყურადსაღებია, რომ გამოსაცვლელია როგორც მაღალი, ასევე დაბალი ძაბვის ელექტროსადენები.*

*თემი ფინანსდება მუნიციპალიტეტიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.*

*აქ, როგორც ყველა თემსა და სოფელში, ყოველწლიურად მნიშვნელოვანი ძვრებია, მაგრამ გასაკეთებელი უფრო მეტია. ყველაზე სასიცოცხლო კი დასაქმებაა.*

*ჭალადიდს, ამ დიდსა და ვრცელ თემს ახალგაზრდა ქალბატონი შორენა ბერაია ხელმძღვანელობს, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას მონდომებით ასრულებს, ცდილობს თითოეული ოჯახის, თითოეული მოსახლის ახლოს იდგეს და მათი ცხოვრებით იცხოვროს.*

*ამჟამად სოფლად ყველაზე აქტუალური პერიოდია. საფუძველი ეყრება მომავალი წლის მოსავალს, გასაკეთებელ საქმეებს, რათა ზამთარს ნორმალურად შეხვდნენ და პრობლემები მოგვარდეს.*

*დავინტერესდი თუ რა კეთდება ჭალადიდში საპრეზიდენტო პროექტის–„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის განსახორციელებლად, ამისთვის რამოდენიმე კითხვით მუნიციპალიტეტის რწმუნებულს ჭალადიდის თემში ქალბატონ შორენა ბერაიას მივმართე.*

# „ვირწმუნოთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება“

***ქალბატონო შორენა, რას ფიქრობთ, როგორ გაამართლა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამამ“. ხალხი კმაყოფილია?***

–მართალი გითხრათ, ეს პროექტი ძალზე აქტუალური და მნიშვნელოვანია სოფლის ცხოვრებაში. პროექტი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება, წარმატებულია, მისი შედეგები მართლაც რომ ეტყობა ჩვენს თემსა და მის სოფლებს.



წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია

იმ დროს, როცა სოფლის მცხოვრებლები უბრალოდ, ცხოვრების დინებას მიჰყვებოდნენ, უშუქობის, უწყლოობისა და ათას პრობლემას შეგუებულებს მორჩილად გაჰქონდათ დღეები, წარსულს ჩაბარდა, ქვეყნის ბოლო წლების წარმატებებმა აქაური მცხოვრებლები კვლავ გააქტიურა, მოიხსნა უშუქობისა და უწყლოობის პრობლემა, მოიხრეშა სოფლის საუბნო გზები. ჩვენთან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ არაერთი პროექტი განხორციელდა. რაც სოფლის მცხოვრებლებს უკეთესი დღის იმედს უსახავს, სჯერათ, რომ სოფლის ინფრასტრუქტურას მალე ეშველება, რეალობად იქცევა მათი მოთხოვნები, ხალხი დასაქმდება...

***ქალბატონო შორენა, რასაკვირველია, წინასწარ გეგმავთ მომდევნო წლის გასაკეთებელს, სადაც ხალხის აზრია გათვალისწინებული, მაგრამ მაინტერესებს, როცა ეს მნიშვნელოვანი პროგრამა იქმნება, რა კრიტერიუმებია გათვალისწინებული იმ პრიორიტეტებისთვის, რაც ამ პროგრამის საფუძველზე თქვენს სოფელში უნდა გაკეთდეს?***

–წინასწარ ვგეგმავთ მომდევნო წლის გასაკეთებელსა და უპირატესობას იმ საკითხებს ვანიჭებთ, რომელსაც მოსახლეობა გვთავაზობს. გვჯერა, რომ ეს თემის მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს, სოფლის მცხოვრებთა შემოსავალსა და დასაქმებას გაზრდის, უმუშევრობას შეამცირებს.

დაგეგმარებისას თემის აქტივთან ერთად გავდივართ თითოეულ სოფელში. ვატარებთ მცხოვრებთა საერთო კრებას, ვმსჯელობთ და ვადგენთ პრიორიტეტულ, პრობლემურ საკითხებს, ვითვალისწინებთ მცხოვრებთა აზრს და ვცდილობთ გამოვიყენოთ ყველა კრიტერიუმი, რაც პრობლემათა დადებითად გადაჭრაში დაგვეხმარება.

მინდა აღვნიშნო, რომ ამ პროგრამით ბევრი პრობლემა მოგვარდა. კერძოდ, გაკეთდა შიდა გზების რემონტი, სანიაღვრე არხების მოწყობა-მოწესრიგება, ამოწმენდა. ხიდ-ბოგირებისა და გზების ორმული შეკეთება...

***მიმდინარე წელს რა სამუშაოები ჩატარდება და რა მოცულობით?***

–წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ 63000 ლარი იქნა გამოყოფილი. საერთო გადაწყვეტილებით, პრიორიტეტად მიჩნეულიქნა ამ თანხიდან 49000 ლარით პრივატიზებული საყანე ფართობების შემოღობვა დაფინანსდეს. ეს სამუშაოები ჩატარდება სალვამიჩაოსა და საბაჟოში, ხოლო დარჩენილი 14000 ლარით საჭოჭუოს უბანში 4000 გრძივ მეტრზე მოხდება შიდა გზების ორმულების ღორღით ამოვსება და ხიდის შეკეთება. აღნიშნული სამუშაოები დაწყებულია და მალე დამთავრდება. აქ სოფლის მცხოვრებლები არიან დასაქმებულები.

***რა მდგომარეობაა დღეს სოფელში, დაითესა თუ არა სრულად საყანე ფართობები და რამდენ ჰექტარზე. იყო პრობლემები?***

–ჭალადიდში სულ 1014 ჰექტარი საყანე ფართობია, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენთან მძიმე ნიადაგია. მაისის ხანგრძლივმა გვალვებმა ძალიან გვაზარალა. დროულად ვერ მოხერხდა პრივატიზებული ფართობების მოხვნა. მექანიზატორები ვერ ახერხებდნენ ხვნას. სოფელში სულ 10 კერძო სახნავი ტრაქტორია, მაგრამ მოძველებული და ხშირად გამოდის მწყობრიდან. სატრაქტორო პარკი ნამდვილად საჭიროებს ეტაპობრივ განახლებას. დროდადრო გვეხმარებოდა 2 საამხანაგო ტრაქტორი...

***რას იტყოდით გაკეთებულ და სხვა ისეთ პრობლემურ საკითხებზე, რომლის გადაწყვეტა დროს ვერ დაელოდება და დღეს უნდა გადაწყდეს?***



ჭალადიდის ადმინისტრაციული შენობა. 2012 წ.

–ბოლო წლებში სოფელში მრავალი სიახლე განხორციელდა. გაუმჯობესდა და უმჯობესდება სოფლის ინფრასტრუქტურა. ბოლო წლებში აშენდა სოფლის ცენტრში ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მინი სტადიონი, ჭალადიდის თემის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული, თანამედროვე ტიპის მინის კონსტრუქციის გამჭირვალე შენობა, რომელიც დამშვენდა თავისი ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით. კეთილმოეწყო ამ შენობის გარე ტერიტორია ხელოვნური საფარით და ქვაფენილით. 2011 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია UNDP–ის მიერ ჩატარებულიქნა კვლევები პრიორიტეტულ–პრობლემატურ საკითხებზე, სადაც პრიორიტეტულ საკითხად დაისახა საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. ჩვენი ძალისხმევით (სპეციალისტების ჯოტო გიგაშვილი, ზვიად გვარამია, მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ნადარაია) თავდაუზოგავი შრომის შედეგად გაიმარჯვა ჩვენმა პროგრამამ, ევროდონეზე გარემონტდა საბავშვო ბაღის ორივე ასაკობრივი ჯგუფის სამეცადინო, საძილე ოთახები, სველი წერტილები, სპორტდარბაზი და სამზარეულო, რაზედაც ადგილობრივი გამგეობის თანადაფინანსებით მთლიანად 5000 ლარი დაიხარჯა, ევრორემონტი ჩაუტარდა აგრეთვე ჭალადიდის საჯარო სკოლას.

სოფლებში პრობლემური საკითხი მრავალია. დროს ვერ დაელოდება და აუცილებლად გადასაჭრელია სამელიორაციო სამუშაოები. განსაკუთრებით სოფელ საბაჟოს ყორათის უბანში დაახლოებით 250 ჰექტარზე, რომლის დადებითად გადაწყვეტა ორჯერ მაინც გაზრდის მოსავლიანობას. სასწრაფოდ გადასაჭრელია მდინარე რიონზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება, რომ არ განმეორდეს 1987 წლის წყალდიდობა. ამ პრობლემის გადაწყვეტა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და ვცდილობთ მასში საერთაშორისო ორგანიზაციები ჩავრთოთ.

***როგორ გესახებათ სოფლის ხვალინდელი დღე?***

–ეს კითხვა ყოველთვის მაწუხებს და სულს მიფორიაქებს. პირველი, რაც მინდა, ეს არის რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი შეჭირვებულთა ყოფა, უმუშევრობა, რომ სოფლები გაძლიერდეს, აღორძინდეს სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა. სოფლის ცენტრი უფრო კეთილმოწყობილი და მომხიბლავი გახდეს. შეიქმნას ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც ახალგაზრდებს კულტურული გართობისა და დასვენების ადგილი გახდება. ე.ი. განვითარდეს ინფრასტრუქტურა. სოფელი დაცულიქნეს სტიქიური უბედურებისაგან, ამისათვის კი აუცილებელია მდინარე რიონზე დამცავი დამბის რეკონსტრუქცია და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება.

სურვილმა, რომ რეალობაში ასახვა ჰპოვოს, ბევრი შრომა და ეკონომიკა, ქვეყნის უფრო გაძლიერება და გაერთიანებაა საჭირო.

ვირწმუნოთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

***ესაუბრა ნანი კილასონია.***

## დასრულდა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა მინი ფეხბურთში



დასრულდა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს თასის გათამაშებაზე მინიფეხბურთში, რომელშიც 28 გუნდი იღებდა მონაწილეობას. ტურნირის გამარჯვებული და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს თასის ღირსეული მფლობელი ხობის ფეხბურთელთა გუნდი „კოლხეთი“ გახდა, მეორე ადგილზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის გუნდი გავიდა, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა ხობის გუნდმა „რუსთაველი“.

გამარჯვებულები და პრიზიორები ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგა ღურწკაიამ თასებითა და სიგელებით დააჯილდოვა. ჩემპიონატი ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა.

## ხობის მუნიციპალიტეტში დამისამართებისა და ქუჩების სახელწოდებების მინიჭების პროცესი გრძელდება

ხობის მუნიციპალიტეტში დამისამართებისა და ქუჩების სახელწოდებების მინიჭების პროცესი გრძელდება. დამისამართების პროცესში, მიმდინარე სამუშაოების ფარგლებში, ამ ეტაპზე ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განსახილველად წარედგინა მასალები ზემო ქვალონის, პირველი მაისის, ხეთისა და საჯიჯაოს თემებში არსებულ ქუჩებზე განთავსებული ობიექტების ნუმერაციისა და ქუჩების სახელდების თაობაზე. პროექტი „დამისამართების სისტემის განვითარება საქართველოში“ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დახმარებით ხორციელდება, რომლის მთავარი დონორია შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SIDA). პროექტში მონაწილეობენ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, საჯარო რეესტრის სააგენტოს, საოლქო საარჩევნო კომისიებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლები. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს მასშტაბით სამისამართო სისტემის განვითარებას და რეესტრის ერთიანი ბაზის გაუმჯობესებას. 2012 წლის განმავლობაში აღნიშნული სამუშაოები ეტაპობრივად განხორციელდება.

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციები.**

## გავეცნოთ ჩვენი ისტორიული ადგილები

# ისტორიული ძეგლების მნიშვნელობას გვაზიარა...

ის რომ საქართველო მდიდარია ისტორიული წარსულით, ულამაზესი ადგილებით და ბუნების საოცრებებით, ნამდვილად არ არის ახალი, მაგრამ ცოტას თუ აქვს საკუთარი თვალით ნანახი ეს მშვე-



ნიერება. ეს რა თქმა უნდა, ლოგიკურიცაა, რადგან ამდენი ლამაზი ადგილის ნახვას სად მოასწრებ, თუ მოლაშქრე არ ხარ და გადაწყვეტილი არ გაქვს ყოველი უქმე დღე სამშობლოს ღირსშესანიშნავი ადგილების დალაშქვრას მოანდომო.

ჩვენი სალაშქრო ტური თავდაპირველად ამა წლის 12 მაისს დაიწყო. ხობის მუნიციპალიტეტის ოცმა ახალგაზრდამ სალაშქროდ გეზი თორსა-ღლვაბისკენ ავიღეთ. ლაშქრობის მიზანი იყო ახალგაზრდებისთვის ისტორიულად ღირსშესანიშნავი ადგილების გაცნობა, თორსა-ღლვაბის არქეოლოგიური გათხრების დათვალიერება, მატერიალური კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობის უნარების განვითარება.

ლაშქრობას ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი ქალბატონი **ნანა ბუკია** ხელმძღვანელობდა. მოლაშქრეთა მარშრუტისა და მიზნების მიზანმიმართულად განსახორციელებლად სათანამშრომლოდ მოწვეულიქნა მთავარი სპეციალისტი ძეგლთა დაცვის საკითხებში ბატონი **გოგიტა ჩიტაია** და მე, როგორც ჟურნალისტი.

თორსაში მისულებმა დავათვალიერეთ ჩვენს ერამდე I ათასწლეულის პირველი ნახევრის კოლხური ნამოსახლარები, სოფელ თორსაში მდინარე მუნჩიის მარჯვენა სანაპიროზე „ონოშქვერე“ და სოფელ ღლვაბის მიმდებარე ტერიტორიაზე „სუჯუნათის“ დასახლებაში ხელოვნური მიწაზვინული „ტაბაკონა.“

ისტორიულ ადგილებზე ბატონმა გოგიტამ ახალგაზრდებს ჩაგვიტარა საინტერესო ექსკურსი „ტაბაკონას,“ „მიწაზვინულისა“ და „ონოშქვერეს“ ისტორიული მნიშვნელობის შესახებ...

ამ ადგილების დათვალიერების შემდეგ, ტრანსპორტისკენ წამოვედით. სიარული სიცხეში გვიწევდა, მაგრამ ეგ არაფერი, ლაშქრობა ერთი დღის დაწყებული გვქონდა და დაღლაზე რომელ ჩვენთაგანს რა წამოცდებოდა. ლაშქრობამ ახალგაზრდებში დიდი ინტერესი და კმაყოფილება გამოიწვია, დანიშნულ ადგილზე მოსულებს საოცარი სტუმარ-მასპინძლობა გაგვიწია სოფელ ღლვაბის მკვიდრის გენადი ლატარიას ოჯახმა, სადაც მართლაც, დაუვიწყარი დრო გავატარეთ, მოვილხინეთ, გადავიღეთ სამახსოვრო ფოტოები და შთაბეჭდილებებით დახუნძლულებმა თორსა-ღლვაბაშივე გადავწყვიტეთ, ლაშქრობის მეორე ტურში–ჯეგეთის არქიტექტურული კომპლექსის დათვალიერებაში მიგვეღო მონაწილეობა, რომელიც 19 მაისისთვის იყო დაგეგმილი.

ხეთის თემი ხობის მუნიციპალიტეტის ჩრდილო დასავლეთ ნაწილშია განფენილი. მას ძალიან საინტერესო გეოგრაფია აქვს. ხასიათდება როგორც ვაკე, ასევე პატარა მთიან-გორაკიანი ადგილებით. ხეთის თემი საინტერესო ისტორიიითა ცნობილი, თუმცა, ჩვენთვის ამ ისტორიიდან სიახლედ ჟღერდა აქ არსებული ულამაზესი ბუნება. მოკლედ, სალაშქროდ არაჩვეულებრივი ადგილია. მისვლა ადვილია, მთავარია სოფლამდე მიხვიდე, მერე კი გზა ფეხით განაგრძო, სადღაც 2-3 კილომეტრი იქნება ალბათ, სადაც ულამაზესი ადგილები გვხვდება, რომელიც მნახველებს აღაფრთოვანებს.

ხობის მუნიციპალიტეტის ჩვიდმეტმა ახალგაზრდამ სალაშქროდ გეზი სიხარულით აიღო ხეთის თემის ტერიტორიაზე არ-



სებული ჯეგეთის არქეოლოგიური კომპლექსის მიმართულებით.

ლაშქრობის მიზანი იყო ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების ისტორიის გაცნობა, მათი მოვლა-პატრონობის უნარების განვითარება ახალგაზრდებში, პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება და მეგობრული ურთიერთობების დამყარება. ისტორიულ ექსკურსს ამჯერადაც ბატონი გოგიტა ჩიტაია უწევდა.

მოლაშქრე ახალგაზრდებმა მათთვის ჩვეული ენერგიით დალაშქრეს საკმაოდ ციცაბო–ურთის მთის ყველაზე მაღალი მწვერვალი, აქვე იხილეს 16-ე საუკუნის „ჯეგეთის“ არქიტექტურული კომპლექსი, რომელიც შედგება წმინდა გიორგის სახელობის პატარა სამლოცველოსაგან, პალატისა და გალავნის ნაშთებისაგან. ურთის მთაზევე დაათვალიერეს ბუნებრივი მღვიმეები...

ბატონმა გოგიტამ ახალგაზრდებს გააცნო „ჯეგეთის“ ისტორია, „ჯეგეთაში“ მჩქეფარე სასულიერო ცხოვრების ჩაქრობის შესაძლო მიზეზები...

მოლაშქრეებისთვის საინტერესოდ დატვირთული იყო ლაშქრობის ეს ორი დღე და გამოითქვა მზადყოფნა მატერიალური და კულტურული ძეგლების სარესტავრაციო თუ საკვლევა-ძიებო სამუშაოებში მონაწილეობის მიღებაზე და შთაბეჭდილებებიც გაგვიზიარეს:

**ლადო ჭითანავა:** ჯეგეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში ლაშქრობამ ჩემზე აუღწერელი შთაბეჭდილება მოახდინა. ერთ გუნდად შეკრებილი ახალგაზრდები საქართველოს დროშით გავუდექით გზას ჯეგეთის მიმართულებით. გზადაგზა ერთმანეთს ვენაცვლებოდით ქართული სიმღერების შესრულებაში, რაც ჩვენში აღვივებდა და ამძაფრებდა ჩვენს ისედაც უძირო სიყვარულს ჩვენი წინაპრებისა და მიწა-წყლის მიმართ. უდაო იყო, რომ ნებისმიერი მონაწილე კმაყოფილებით იყო აღსავსე და გამოითქვა სურვილი ჩვენი სიწმინდეების და ისტორიული ძეგლების მიმართულებით კიდევ არაერთი მსგავსი ლაშქრობის ჩატარებისა, რაც ეტაპობრივად იქნება კიდევაც განხორციელებული.

**მანანა კემულარია:** ჩემი თაობის ახალგაზრდები ლაშქრობებითა და ექსკურსიებით განებივრებულები არ ვყოფილვართ. მოგეხსენებათ იმ დროს სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და სახიფათოც კი იყო. დღეს კი ყველაფერი სხვაგვარადაა...

ჩემთვის მართლაც შთამბეჭდავი იყო ლაშქრობის ეს ორი დღე. ნასიამოვნები დავრჩი ისტორიულად დატვირთული ადგილების მონახულებით, ბევრ საინტერესო სიახლეს გავეცანი, ამასთანავე დაუვიწყარი დრო გავატარე. ამ დღეებში შევიძინე შესანიშნავი მეგობრები, რომლებთანაც არაჩვეულებრივი დამოკიდებულება მაკავშირებს. იქვე, ბუნების წიაღში გავშალეთ სუფრა, ვიხალისეთ, გადავიღეთ სამახსოვრო ფოტოები და შთაბეჭდილებებით დატვირთულები შინ დავბრუნდით.

იმდენად მაღალი და ამაღელვებელი იყო განწყობა, რომ დაღლა არცერთ ჩვენგანს არ გვიგვრძვნია, პირიქით, გვინდოდა ის დღე დიდხანს, უსასრულოდ გაგრძელებულიყო...

ორგანიზატორები კიდევ ბევრ სიახლეს გვპირდება და ჩვენც ამ მოლოდინს სიხარულით ველოდებით. მადლობა მათ!

**ჯამბულ (ჯაბა) თოლორდავა:** ნასიამოვნები დავრჩი ამ ლაშქრობით, რადგან უამრავი სიახლე აღმოვაჩინე, ამასთანავე დავმეგობრდი ბევრ საინტერესო ახალგაზრდასთან. ჩვენ, ხობის მუნიციპალიტეტის ოცამდე ახალგაზრდა ვმონაწილეობდით ლაშქრობაში, ორგანიზატორმა ქალბატონმა ნანა ბუკიამ და ბატონმა გოგიტა ჩიტაიამ საინტერესო ექსკურსი გაგვიწიეს და ისტორიული ძეგლების მნიშვნელობას გვაზიარეს, რამაც ჩვენში დიდი ინტერესი და კმაყოფილება გამოიწვია.



**გვანცა კიკალეიშვილი:** წარსული მარადი ფორმით ფეთქავს ჩვენში, ყოველი დღე სიახლის მომტანი უნდა იყოს ჩვენთაგანისთვის. სწორედაც, რომ მაისის ერთ-ერთმა მშვენიერმა დღემ განაპირობა ის, რომ წარსულის ექო შეგვეგრძნო. ლამაზმა დღემ ახალი მეგობრები შეგვმატა, ერთმანეთს დაგვაახლოვა, საშუალება მოგვცა კიდევ ერთხელ გავცნობოდით ჩვენი წინაპრების კულტურას. დავფიქრდით რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ორგანიზატორს ქალბატონ ნანა ბუკიას მადლობა ვუთხრა საოცრად ლამაზი დღისთვის.

**ირმა გაბუნია:** პირველად მომეცა შესაძლებლობა ავსულიყავი ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ყველაზე მაღალ წერტილზე (ზღვის დონიდან 462 მეტრი), ეს სიამაყის გრძნობა იყო, უშუალოდ შევიგრძენი საკუთარი ფლორა და ფაუნა, მათ მიერ გამოყოფილი ჟანგბადის გატარება საკუთარ ფილტვებში და ფიზიკური შესაძლებლობები.

სულ სხვა შეგრძნებაა, როცა სიწმინდეებს ეხები–16-ე საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ნანგრევებს, ამით წარსულში ბრუნდები და წმინდანების ღვაწლს აფასებ, სულიერად უფრო მაღლდები და იწმინდები.

ჩვენი ლაშქრობის დღეს საბედნიეროდ დაემთხვა აფხაზეთიდან, კერძოდ გალის რაიონიდან აფხაზი და ქართველი მოსწავლეების ლაშქრობა. ჩვენ მათ მოვუყევით „პაპანწყვირის“ ისტორია, რასაც სულგანაბული უსმენდნენ. შევთავაზეთ მეგობრობა, მოვეფერეთ, გადავიღეთ სამახსოვრო სურათები.

ლაშქრობის დადებითი შთაბეჭდილება ძალიან დიდხანს გაყვება ჩემს მეხსიერებას. სურვილი გამიჩნდა, თუ იქნება შესაძლებლობა სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის მიღების, რომელიც განავითარებს ტურიზმს, ინფრასტრუქტურას, ამით ჩვენ ხელს შევუწყობთ მომავალი თაობის ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრებას.

...იმედია, ახალი წამოწყება–ჩვენი მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნავი ადგილების დალაშქვრა მრავალგზის გაგრძელდება და სამომავლოდ ტრადიციად იქცევა... განყოფილება კი ახალგაზრდებს კიდევ ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს პირდება.

*P.S. ამ მასალას ვამზადებდი, როცა რედაქციაში ყულევის საჯარო სკოლის 5-ე კლასის მოსწავლემ **ნინო კუკავამ** წერილი მოგვწერა.*

*მართალია, ეს წერილი სულ სხვა თემას ეძღვნება, მაგრამ ჩავთვალე აქ გამეერთიანებინა.*

*–7 მაისს, ბუნების გაკვეთილზე მასწავლებელმა მაია ფიფიამ აგვიხსნა უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის წესები, რის შემდეგ ჩავატარეთ ლაშქრობა ყულევის მწვანე ზოლში–ტყე, ზღვა, ნაძვნარი, ტერმინალის მიმართულებით.*

*დავათვალიერეთ ტერმინალის ტერიტორიის რკინიგზის სადგურში შემავალი მატარებელი და იქ მომუშავე მუშებს ინგლისურად გავესაუბრეთ. განსაკუთრებით გვაინტერესებდა მოსწონთ თუ არა მათ 21-ე საუკუნის ტექნოლოგიები, რამდენად არიან კმაყოფილი ტერმინალში მუშაობით, ბინძურდება თუ არა გარემო, ზღვა, მდინარეები, მოაქვს თუ არა ნავთობს სარგებლობა, რამდენად მავნებელია მისი სუნი ადამიანის ჯანმრთელობაზე და ბოლოს, რა აზრისანი არიან ახლანდელ ახალგაზრდობაზე. ამომწურავი პასუხის მიღების შემდეგ ღია ცის ქვეშ–ნაძვნარში ჩავატარეთ ბუნების გაკვეთილი, გადავიღეთ სამახსოვრო სურათები.*

*დიდი მადლობა სკოლის დირექტორს ქალბატონ **ხატია ოჩიგავას** და მასწავლებელ **მაია ფიფიას** ექსკურსიის ჩატარებისთვის.*

**ნანა კემულარია**

ომის ექო

# დრო არდავიწყების!..


მიხეილ გადელია

პიროვნება, რომელიც რედაქციაში გვეახლა, ყველა ხობელისთვის ნაცნობი და მახლობელი ადამიანი ვაჟა გადელია გახლავთ. საქმისმცოდნე, პრინციპული, მომთხოვნი. ციფრებზე საუბრისას ცოტა არ იყოს მკაცრი, მაგრამ გულკეთილი და თბილი ადამიანი.–ასე ვიცნობდით მას, დღეს კი სიბერეშეპარული კვლავაც სიტყვაძუნწია თავისთავზე. მას მრავალი საპასუხისმგებლო სამსახური ჰქონია, მაგრამ... შემდეგ იყო უმუშევრობის წლები, გულდაწყვეტილობა, მაგრამ საქმეს რა გამოლევს ოჯახში და... ხელი მიჰყო საოჯახო მეურნეობას, საქმიან პარტნიორთან ერთად ფუტკარიც მოამრავლა. ეს ერთგვარი შემოსავალიც იყო...

დამაგვიანდა, მაგრამ მაინც გეახელით. 9 მაისი უკვე გავლილია. ჯობს გვიან, ვიდრე... სიტყვა არც კი დაუმთავრებია... დაბრძანდით მეთქი, ვთხოვე. დაჯდა და თან ფაილიდან სურათები და ქაღალდები ამოალაგა, ეს მამაჩემის სურათებია და ცნობა მისი უგზოუკვლოდ დაღუპვის შესახებ...

სინანულით მოიგონა წარსული, გავიხსენეთ მისი მეუღლე, აწგანსვენებული ქალბატონი, კარგი ეკონომისტი ინეზა გვასალია. ვისაუბრეთ შვილებზე, შვილიშვილებზე...

ოჯახი, რომლის თაობაზეც მინდა გიამბოთ, გლეხის კვალობაზე, ყოველთვის კარგად და შეძლებულად ცხოვრობდა. სპირიდონ ბაკურის ძე გადელია, ოჯახის თავკაცი, ცნობილი მჭედელი–ნალბანდისტი გახლდათ. მისი სამჭედლო ხობის ცენტრში მდებარეობდა. მომხმარებელი ბევრი ყავდა, შეგირდებიც მრავლად. ისინიც ცნობილები იყვნენ. ეს სპირიდონის წყალობა იყო...

სწორედ, ამ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა სპირიდონის ერთადერთი ვაჟიშვილი მიხეილი თავის ორ დასთან–პაშასთან და თამარისთან ერთად. ცხოვრება დროის შესაფერისად გადიოდა. მიხეილმა თბილისში სამეთაურო სამწლიანი სასწავლებელი დაამთავრა. თავიდან გორში მუშაობდა, შემდეგ სურამში, სადაც მეთაურებს ამზადებდა. ხობში დაბრუნებული კი რაიონის თავდაცვას „ავიაქიმიას“ ხელმძღვანელობდა. ოჯახიც ადრე შექმნა სენაკელ ბაბილინა (პარასკევა) ოდიშარიასთან. გაჩნდნენ შვილები: გულნარა, ვაჟა (ეკონომისტები) და რეზო (მშენებელი ინჟინერი). ოჯახი გაიზარდა და გამყარდა...

ახალგაზრდა მიხეილი ფინეთის ომმა ოჯახს მოწყვიტა და ბრძოლაში ჩაება... შემდეგ დაიწყო დიდი სამამულო ომი. ფინეთში ნაბრძოლი ოფიცერი ფრონტზე წავიდა. სევასტოპოლი, ქერჩი, ნოვორასიისკი... სამკუთხა ბარათები მოდიოდა ომიდან. მიხეილი მეუღლეს ავედრებდა ერთადერთ ქალიშვილსა და ორ ვაჟიშვილს, გაუფრთხილდი, კარგები გამიზარდე... მეც მალე დავბრუნდებიო, მაგრამ... ეს მოლოდინი მოლოდინად დარჩა. 32 წლის მიხეილი ფრონტიდან ვერ დაბრუნდა. ოჯახმა ნაწილიდან მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ შეტყობინება მიიღო. ეს იყო 1942 წლის თებერვალში. დიდხანს იგლოვეს გადელიებმა დაკარგული მეუღლე, მამა, ძმა... უკვე წამოზრდილი შვილები დედას თანაუგრძნობდნენ და სითბოსა და სიყვარულს უნაწილებდნენ, დარდს უმსუბუქებდნენ, ელოლიავებოდნენ უქმროდ დარჩენილ ახალგაზრდა ქვრივს.

ცხოვრება კალაპოტში ჩადგა. ბაბილინამ იმდენი იშრომა და იბრძოლა, სამივე შვილს უმაღლესი განათლება მიაღებინა, მიხეილისა და ბაბილინას შვილები დაოჯახდნენ... გადელიების ოჯახში მიხეილის ხსოვნა და მონატრება, მისდამი სიყვარული მაისთან ასოცირდება. ყველა წლის გამარჯვების დღე მათ მოგონებებს აუშლით, აფორიაქებთ...

ხობში, ცენტრალურ ტრასაზე, აღმაშენებლის ქუჩაზე ერთ, ყვავილებით დამშვენებულ ეზოში ორი ლამაზი სახლი დგას ერთმანეთს „ხიდით“ შეტყუპებული. სწორედ ეს სახლები ყოფილი ოფიცრის მიხეილ გადელიას სახლის ნაფუძარია. მართალია, თავად ომში დაიღუპა, ხანდაზმული მეუღლეც გარდაიცვალა, მაგრამ დარჩნენ შვილები, რომლებიც აქ ცხოვრებას აგრძელებენ, ერთ სახლში ვაჟას შვილები: მიშიკო, მერაბი და მაიკო გაიზარდნენ, მეორეში–რეზოს შვილები: ლევანი, ლალი და პავლე გადელიები. ყველანი თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობენ. დღეს ვაჟასთან ერთად მისი შვილი მიშიკო თავისი ოჯახით ცხოვრობს.

იქ, სადაც მიხეილ გადელიას 67 წლის წინათ ფეხი დაუდგამს და გაუვლია, მის ნაკვალევზე ცხოვრება ლამაზად გრძელდება...

კიდევ ერთი გამარჯვების გაზაფხული გაილია ტკივილიანი, მოგონებებით. დაგვიანებით, მაგრამ მაინც მინდა მიხეილ გადელიას შთამომავლებს მოგილოცოთ ეს დღე. მიუხედავად წარსულში განვლილი ტკივილებისა, თქვენს შვილებს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს–მიხეილის მონაგარს ტკბილ და დღეგრძელ სიცოცხლეს გისურვებთ.

***ნანი კილასონია***

---

ყბა-ყურა იგივე პაროტიტი მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელიც მიმდინარეობს ჯირკვლოვანი ორგანოების, განსაკუთრებით სანერწყვე ჯირკვლების დაზიანებით, შესაძლოა დაზიანდეს ნერვული სისტემაც.



ტებით 38–39 გრადუსამდე. მეორე–მესამე დღეს სივდება ყბა-ყურა ჯირკვალი ერთ მხარეს ან ორივე მხარეს ერთდროულად. ხშირად იწყება ცალ მხარეს და შემდეგ გადადის მეორე მხარეზე. ზოგჯერ ყბისქვეშა ან ენისქვეშა სანერწყვე ჯირკვლებშიც ვითარდება ანთებითი პროცესი. ჯირკვლის ზედაპირული კანი მკრთალი ფერისაა. გადიდებული ყბა-ყურა ჯირკვალი აწვება ყურის ნიჟარას და სწევს წინ, შუპდება ყბის უკანა ფოსო, წაშლილია ყბა-ყურის კუთხე და ბავშვის სახე გოჭისას ემსგავსება, შესაძლოა ავადმყოფს 39–40 გრადუსამდე, ავადმყოფს უჭირს ყლაპვა, სტკივა თავი და მუცელი, აღენიშნება ღებინება. ყბა-ყურა ჯირკვალი საკმაოდ არის შეშუპებული.

**მძიმე** ფორმა–ამ დროს აღინიშნება იგივე სიმპტომები, რაც საშუალო სიმძიმის პაროტიტის დროს. დამატებით ადგილი აქვს სხვა ჯირკვლოვანი ორგანოების (სათესლე ჯირკვლების, საკვერცხეების, პანკრეასის) და ნერვული სისტემის დაზიანებას. მძიმე ფორმის დროს არსებული გართულებები საკმაოდ სერიოზულია და არასასურველ შედეგებს იწვევს. მა-

# ყბა-ყურა — ინფექციური დაავადება

ყბა-ყურას იწვევს ვირუსი (პარამიქსოვირუსების ჯგუფიდან). ინფექციის წყაროა მხოლოდ ავადმყოფი ბავშვი (ინკუბაციური პერიოდის ბოლო 2 და დაავადების პირველი 5–7 დღე). ვირუსი გარემოში არამდგრადია და მალე იღუპება, რის გამოც მესამე პირით ან ავადმყოფის ნივთებით მისი გადაცემა არ ხდება.

ინფექციის შეჭრა ხდება პირის ღრუდან, ხახის ან ცხვირის ლორწოვანი გარსიდან, შეჭრის შემდგომ, ვირუსი ჰემატოგენური (სისხლის) გზით ხვდება სანერწყვე ჯირკვლებში, განსაკუთრებით ყბა-ყურა ჯირკვლებში, იწვევს მათ დაზიანებას, იქ მრავლდება და ისევ ჰემატოგენური გზით გადადის სხვა ჯირკვლოვან ორგანოებში.

ყბა-ყურასათვის დამახასიათებელია პათომორფოლოგიური ცვლილებები სანერწყვე და სათესლე ჯირკვლებში, ასევე პანკრეასში.

ყბა-ყურას ინკუბაციური პერიოდი საშუალოდ 11–12 დღე გრძელდება. დაავადება იწყება შემცივნებით და ტემპერატურის მომა-

ჰქონდეს ტკივილი ყლაპვის დროს, ღებინება, ტკივილი მუცელში, რამდენიმე (2–4) დღეში შესიებული ჯირკვალი ცხრება, ტემპერატურა ნორმას უბრუნდება და საერთო მდგომარეობა უმჯობესდება.

პაროტიტი ტიპიურ შემთხვევებში ყოველთვის მიმდინარეობს ყბა-ყურა ჯირკვლის დაზიანებით, თუმცა შესაძლოა ის მიმდინარეობდეს ატიპიურადაც ანუ ყბა-ყურა ჯირკვლის დაზიანების გარეშეც.

პაროტიტი კლინიკურ შემთხვევებში ყოველთვის მიმდინარეობს ყბა-ყურა ჯირკვლის დაზიანებით, თუმცა შესაძლოა ის მიმდინარეობდეს ატიპიურადაც ანუ ყბა-ყურა ჯირკვლის დაზიანების გარეშეც.

პაროტიტი კლინიკური მიმდინარეობის მიხედვით იყოფა რამდენიმე ფორმად: **მსუბუქი**–სხეულის ტემპერატურა არ აღემატება 38 გრადუსს, ყბა-ყურა ჯირკვალი სწრაფად ცხრება და ავადმყოფის საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, **საშუალო** სიმძიმის–ტემპერატურა არის გალითად, ორმხრივი ორქიტის (სათესლე ჯირკვლების ანთება) შემთხვევაში ვითარდება უშვილობა, პანკრეტიტის შედგომ კი–დიაბეტი.

ყბა-ყურას დიაგნოზი ემყარება კლინიკურ გამოვლინებებს. მკურნალობისათვის აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს, რომელიც ასაკის, დაავადების სიმძიმის და გართულებების გათვალისწინებით დანიშნავს მკურნალობას.

ყბა-ყურათი ავადობის ერთეული შემთხვევები ყოველწლიურად გვხვდება. იმისათვის, რომ არ განუვითარდეს ბავშვს ყბა-ყურა, საჭიროა პროფილაქტიკა, რომელიც ემყარება დროულ იმუნიზაციას, რომლებიც პროფილაქტიკურ აცრის ეროვნული კალენდრის შესაბამისად ბავშვებს ორჯერადად–ერთ წლის და 5 წლის ასაკში უტარდებათ.

***ჯუმბერ ტურავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ექიმი–პროფილაქტიკოსი.***

---

# საგაზაფხულო გაწვევა დამთავრდა

2012 წლის იანვარ-აპრილში 1995 წელს დაბადებულ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა ჩატარდა, რომლებსაც აყვანისას შეუსრულდათ 17 წელი.

პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას ექვემდებარებოდა 256 ჭაბუკი, აყვანილი იქნა 255, მათ შორის აფხაზეთიდან დევნილი 15 ჭაბუკი.

საქართველოს პრეზიდენტის №49–18.01.2012 წლის ბრძანებულების საფუძველზე, 23 იანვრიდან 30 ივნისამდე სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევა ჩატარდა, გაწვევას ექვემდებარება 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც არა აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან განთავისუფლების ან მისი გადავადების უფლება.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2012 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში გასაწვევ წვევამდელთა რაოდენობა განისაზღვრა:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში–25 წვევამდელი, გაწვეულია 26 წვევამდელი;

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გარე დაცვისა და სპეციალური დაცვის სამსახურში–5 წვევამდელი. გაწვეულია 9 წვევამდელი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ დანაყოფში–8 წვევამდელი, გაწვეულია 11 წვევამდელი.

სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გაწვეულია 1 წვევამდელი;

ვადიან სამხედრო-საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულია 6 წვევამდელი;

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სულ გაწვეულია 53 წვევამდელი.

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 31 მაისამდე სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 120 რეზერვისტი, საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულია 16 რეზერვისტი.

2010-2011 წლებში სარეზერვო საბანკო შეკრება გაიარა 248 რეზერვისტმა.

***ზაზა კუპრეიშვილი,***
**გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი.**

---

# სამადლობელი

პატივცემულო რედაქცია! მინდა მადლიერების გრძნობა გამოვხატო ხობის №3 ბაგა-ბაღის თანამშრომლების, იმ ქალბატონების მიმართ, რომლებიც უანგაროდ, დაუღალავად და დიდი რუდუნებით დასტრიალებენ თავს ჩვენს პატარებს.

მიუხედავად იმისა, რომ საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა საჭიროებს რემონტს, იქ შესულს მაშინვე თვალში მოგხვდება სისუფთავე, ნათელი და ფართო ოთახები, მშვიდი გარემო, აღმზრდელების თუ აღსაზრდელების ნამუშევრები. ერთმანეთის სიყვარულს, პატივისცემას, თანადგომას დაუსადგურებია ამ ლამაზი ქალბატონების გარშემო. თავს უფლებას ვაძლევ და მინდა 3–4 წლიანების ჯგუფის აღსაზრდელთა მშობლების სახელით მადლობა გადავუხადო ბაღის ყველა თანამშრომელს. მთავარ სპეციალისტს ქალბატონ თამრიკო დიდიშვილს, მარინე იზორიას, ხატია გამისონიას, თინათინ თირქიას, ლელა კვარაცხელიას, ლარისა ქირიას, ეკა კვიკვინიას, ივეტა ჭითანავას. განსაკუთრებით მოვეფერები ქალბატონებს ნინო ჭითაშვილსა და ნინო ჭითანავას.

მომწონს ის, რომ ამ ბაღის თანამშრომლებს მჭიდრო კავშირი აქვთ აღსაზრდელთა მშობლებთან. სწავლების ახალი მეთოდებით ისინი ბავშვებს თავიანთი ასაკისთვის შესაფერის უნარ-ჩვევებს უნვითარებენ. საინტერესოდ მომზადებული თემატური აქტივობები, სწორი მოტივაცია, ბავშვებს სწავლებისადმი სურვილს უღვიძებს და ამაში ლომის წილი მიუძღვით მეთოდისტს ქალბატონ ლალი შურღულაიას და აღმზრდელებს: ნინო ჭითანავასა და ნინო ჭითაშვილს.

მინდა ყველას ვუსურვო ჯანმრთელობა, ბედნიერება, მშვიდობა ოჯახებსა და უღრუბლო ზეცის ქვეშ ცხოვრება.

*პატივისცემითა და დიდი სიყვარულით ლალი ლატარია.*

## იჩქარეთ, თქვენი სწავლა ფინანსდება!

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი“
იწვევს მსურველებს სასწავლებლად შემდეგ გადამზადების კურსებზე:

უცხო ენა (ინგლისური);
თექის ხელოსანი;
ქალისა და მამაკაცის სტილისტი (პარიკმახერი);
მდივან-რეფერენტი;
მეფილე (მოპირკეთებელი);
ქართული ფარდაგი, გობელენი;
დიზაინერი.

*ფასიანი სექტორი*

„ბე“ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი (100ლარი);
ტ-1 კატეგორიის ტრაქტორისტ-მემანქანე (80 ლარი);
პერსონალური კომპიუტერის მომხმარებელ-ოპერატორი(100 ლარი);
მინანქრის ხელოსანი (80 ლარი);
მზარეული (150 ლარი).

*საჭირო დოკუმენტაცია:*

განცხადება;
პირადობის მოწმობის ასლი;
განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ატესტატი, დიპლომი).

მსმენელებად მიიღებიან როგორც საშუალო, ისე საბაზო განათლების მქონე პირები; სოციალური სტატუსის მქონენი ფასიან სექტორზე ისარგებლებენ შეღავათებით; მსმენელთა ასაკი შეზღუდული არ არის.

მსმენელებს უფასოდ მოემსახურებათ სასწავლო ცენტრის მიკროავტობუსი.

*საკონტაქტო ტელეფონები:* 593 37 52 13; 555 16 18 36.

# იქ, საქართველოს ხოტბა ისმოდა!..

## საოცნებო დღეების ლამაზი დასასრული

ის დღეები განსაკუთრებით ლამაზი და ხიბლიანი იყო ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღში. ზეიმის მოლოდინით ცხოვრობდა და სუნთქავდა იქაურობა. მაისის ერთ ჩვეულებრივ დღეს ბაღში შვილიშვილები მივიყვანე. დერეფანში, ვესტიბიულსა და ჯგუფების ოთახებში ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი აღმზრდელები და მათი თანაშემწეები დამხვდნენ. არც კი გამკვირვებია, ვიფიქრე, ალბათ რაღაც ღონისძიება ტარდება მეთქი.

მეორე დღეს უკვე ვესტიბიულში საქართველოს თემაზე ახალ-ახალი ექსპონატები გაჩნდნენ. წამოიჭიმნენ მრავალსართულიანი სახლები, აშენდა ხიდები, გამოჩნდნენ ყვითელი ავტობუსები, ეროვნული დროშები, საქართველოს რუკა, ქართველ მეფეთა პორტრეტები, საქართველოს ქალაქების სურათები, სოფლისათვის დამახასიათებელი ექსპონატები–ურემი, გოდოლი, ქართული ორნამენტებით დამშვენებული კერამიკული ნაწარმი. დინოზავრის ფიტული, იშვიათი ცხოველებისა და ფრინველების სურათები.

კედლები თანდათან ბავშვების ნამუშევრებს,–ფიროსმანის „მეეზოვეს,“ ეროვნულ ტანსაცმელს, ეროვნულ დროშას, გერბს, ჰიმნს დაეფარა.

ყველაზე საინტერესო და დასამახსოვრებელი იყო კედლებზე გამოფენილი აღსაზრდელთა ნახატების „ჩემი სახლის კოლაჟი“. მათ დახატეს თავიანთი სახლები ეზოებით, პეპლებით, ყვავილებით, ხეებით... მზითაც გააფორმეს...

მესამე დღეს სერიოზული სახით უკვე სამხედრო ფორმებში გამოწყობილი თანამშრომლები შემომხვდნენ. ჯგუფებში პატარებსაც სამხედრო ფორმები ჩაეცვათ. მთელ ბაღში პატრიოტული სიმღერები გაისმოდა. პატარები ჯარისკაცებს ბაძავდნენ...

მეოთხე დღეს აღმზრდელებმა ფერად-ფერადი საჰაერო ბუშტები გვთხოვეს... ბაღში ნამდვილი აღლუმი მოაწყვეს.

...ყველა ბავშვი ბაგის ასაკიდან მოყოლებული კოლონებად მოეწყვნენ. დაიწყო მარშირება, გაისმა საქართველოს ჰიმნი. ყველა გაირინდა და გულზე ხელებდადებულები, თავაწეულები ამაყად უსმენდნენ ჰიმნის მუსიკას



და თავადაც უწყობდნენ სიმღერას თავიანთ ხმებს.

აღლუმის ბოლოს კი მეორე სართულის აივნიდან აღმზრდელებმა წვრილად დაჭრილი ფერადი ქაღალდები და ბუშტები ფანტელებად გადმოყარეს, ფეიერვერკის იმიტაცია შექმნეს... გადაიღეს უამრავი სურათი და საოცნებო დღე ლამაზად დაასრულეს.

ნანახით აღფრთოვანებული ვეწვიე ბაგა-ბაღის მთავარ სპეციალისტს ნარგიზა ტუღუშს და ვთხოვე აეხსნა თუ რა ხდებოდა ეს დღეები ბაღში.

–ჩვენი მუშაობა ახალი სააღმზრდელო პროგრამით მიმდინარეობს, პროგრამის მეთოდოლოგიად გამოყენებულია თემატური სწავლება, როგორც თანამედროვე და ეფექტური მეთოდი. პროგრამა თემებადაა დაყოფილი. აი, ზოგიერთი მათგანი: „მე და ჩემი სხეული“, „ფერები ჩემს გარშემო“, „დედამიწა და კოსმოსი“, „დრო–კალენდარი–საათი“. საპირისპირო სიტყვები; მეგობრობა, ტოლერანტობა, პროფესიები და სხვა.

თითოეული თემა ქვეთემებად იყოფა. ამ თემების შესწავლა აქტივობების მეშვეობით ხდება. აქტივობებზე თემების ამოწურვა კი დანართების საშუალებითაა შესაძლებელი.

ახალ პროგრამაზე გადასვლამდე ორდღიანი ტრენინგები გავიარეთ თემებზე: „თანამედროვე მიდგომები სკოლამდელ განათლებაში“, ტრენინგი ბაღის თითოეულმა აღმზრდელმა გაიარა.

ახალი პროგრამის ძირითადი მიზანი სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მომზადებაა, რათა მათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დაძლევა უპრობლემოდ შეძლონ.

აქვე მინდა გითხრათ, ახალი პროგრამა მართალია შრომატევადია, მაგრამ ძალზე სახალისოა, რადგან ბავშვები მთელი დღის განმავლობაში სასწავლო ცენტრებში მუშაობენ: მათ აქვთ ცენტრებში მუშაობის არჩევანის შესაძლებლობა. ჯგუფებში მოწყობილი ცენტრები სპეციფიკური უნარების განვითარებისა და არჩევანის შესაძლებლობებს უზრუნველყოფენ.

ჩვენი ყველა აღმზრდელი და მათი თანაშემწე აქტიურად ჩაერთო ამ პროგრამაში. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ბაგის ჯგუფის მუშაობა (ქეთინო აბშილავა). ისინი წარმატებით ითვისებენ პროგრამით გათვალისწინებულს, მისმა აღმზრდელმა კი ტრენინგის ხელმძღვანელის, პროფესორ ი. ბალანჩივაძისაგან შესანიშნავი შეფასება დაიმსახურა.

ამ ლამაზი დღისათვის ქალბატონ ნარგიზას დიდი მადლობა გადავუხადე. შემდეგ გავიხსენეთ სხვადასხვა პროექტებიც. „ზოოპარკი“, „მწერები“, „კოსმოსი და დედამიწა“. პროექტიდან გამომდინარე ექიმის ფორმაში გამოწყობილი ნანა ქაშიბაძე, მეხანძრე–ნონა შონია, კოსმოსის მკვიდრი–ლალი დევნოზაშვილი, პოლიციელი–ნატო ცხადაია, ბიბლიოგრაფი–თეონა ჩარგაზია, დიზაინერი–თეა ლატარია, ხაბაზი–მანანა უბილავა, ზოოპარკის თანამშრომელი მაყვალა ბახტაძე, ექთანი–ნანა თოდუა, მუსიკის მასწავლებელი დარეჯან საბეკია, პროგრამის სულისჩამდგმელი ნანა სალაყაია და სხვები...

ეს დღეები ბაღის ყველა ჯგუფში სამშობლოს სიყვარულის ხოტბა ისმოდა. ბაგა-ბაღში პატრიოტულ სულს არა მხოლოდ ბავშვებში ნერგავენ, არამედ თავად კოლექტივია ერთსულოვანი და ერთ მუშტად შეკრული, ყველას ერთი მიზანი აქვს–პატარები ლამაზი სულის ადამიანებად აღზარდონ, მათში ურთიერთსიყვარული, პატივისცემა, მოყვასის სიყვარული დანერგონ.

ზეიმი დასრულდა, მაგრამ აქ სწავლება და მეცადინეობები გრძელდება.

დაე, ასეთი ლამაზი დღეები ჰქონოდეთ ჩვენს პატარებს. დაე, ყველა პატარამ მუდამ ბედნიერად და ლაღად იცხოვროს, რომ მათ მუდამ ჰქონდეთ თავისუფალი ქვეყანა, უღრუბლო ცა, მზიანი დღეები და ულევი სიხარული...

მრავალ ასეთ მაისს ჩემო პატარა თვალებხატულა გოგო-ბიჭებო!

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

**ნანი კილასონია.**



## მოლოცვა

## ლუკა ლომჯარიას!

ჩემო სიცოცხლევ, ჩემო პირველო დიდო სიხარულო, გილოცავ დაბადების დღეს.

შენ უკვე ოთხი წლის ხარ და გულს მიხარებ შენს და ლიზისთან ერთად.

უთვალავი წლები და საუკეთესო სურვილები მიბოძებია შენთვის ჩემო პატარავ. შემოგევლოს შენი ბებო!

*მაყვალა კილასონია.*

## ჯამბული ბაბილუა ხსოვნა



ძნელია წერო მოსაგონარი ისეთ შვილზე, როგორიც შენ იყავი, ჩემო შვილო, ჯამბული, სამუდამოდ 24 წლისა დარჩენილო. ახლა, 44 წლის გახდი. 20 წელი გავიდა იმ ავადმოსაგონარი შენი ტრაგიკულად დაღუპვის დღიდან, მაგრამ არავითარი დრო არ კურნავს ამ ტკივილს, არ არჩენს იარას. ვცდილობთ წარმოვიდგინოთ, შენი მომავალი როგორი იქნებოდა შენი ბიძაშვილების–მურმანი, მამუკა, რევაზი ბაბილუების გვერდით. შენ ხომ მესამე კურსის წარმატებული სტუდენტი იყავი, ძლიერი, ერთგული, კეთილშობილი, სიცოცხლით სავსე, ყველასაგან გამორჩეული.

ჩვენო დიდო ტკივილო, შენ დავიწყება არ გიწერია, მუდამ ჩვენს გვერდით ხარ, არ ამოიშლები არცერთის გულიდან, ყველას გულში ცოცხლობ.

ყოველ დღესასწაულზე მოვდივართ შენი და მამაშენის საფლავზე, (რომელმაც ვერ გაუძლო უშენობას), გიხსენებთ, გინთებთ სანთლებს, გიძღვნით ყვავილებს და ვლოცულობთ თქვენი ლამაზი სულებისათვის.

დაე, სანთლებმა გაგინათოთ გზა და სამუდამო სასუფეველი დაგიმკვიდროთ ზეციურ საქართველოში.

***დედა გუნა. დები ნუნუ, მანანა ბაბილუები ოჯახებით.***

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი სამეურნეო მუშაკი

**ოტოშა გელოვანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ვიკა ჯიშკარიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

## აუქციონი

**ხობის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული საპრივატიზებოდ და ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ**

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების გარკვეული ფართის პრივატიზებაზე და სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.**

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი, ც. დადიანის ქუჩა „189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა. ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე. 10 საათიდან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10 საათიდან 14 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2012 წლის 17 ივლისი, 15[00] სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–20122900, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–220101222, სახაზინო კოდი–300403313.

აუქციონის ფორმით შენობის პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

| № | ქონების დასახელება | ადგილმდებარეობა | შენობის ფართი (კვ.მ) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) | „ბე“-ს ოდენობა 20% | ბიჯი 10% | მონაწილის ბილეთის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძველი რაიკომის შენობა | ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №188 | 30.83 | 2102.60 | 422 | 210.6 | 20 ლარი |

| | შენობის დასახელება | მისამართი | სართული | სარგებლობის ფორმა | შენობის გასაიჯარებელი ფართი(კვმ) | გასაიჯარებელი 1 კვ მის ღირებულება | გასაიჯარებელი ფართის ღირებულება (ლარი) | იჯარის ქირის განაკვეთი % | საშუალოდ თვეში იჯარის ქირა | ქონების გასხვის ვადა | სავაჭრო ბიჯი 10% |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ადმინისტრაციული შენობა | შუა ხორგა | მე-2 სართული | იჯარა | 1927 | 217 | 4181.59 | 15 | 52 | 3 წელი | 520 |
| 2 | საბავშვო ბაღი | ახ. ხიბულა | მე-2 სართული | იჯარა | 14 | 21 | 294 | 40 | 9.80 | 3 წელი | 0.98 |

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 10 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, მყიდველმა საკუთარი ხარჯებით უნდა მოახდინოს შენობის დაშლა, ტერიტორიის გაწმენდა ნარჩენებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ) „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადაფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

საააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში.

**გამყიდველი ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

*დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.*

*გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“*

*სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა.*

*თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.*

*რედაქტორი–მანანა შულაია.*

*ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.*

*რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი ლაშა ცატავა.*

*კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.*

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“

მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.